ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 9 ნოემბერი, 2021 №211 (8740) ფასი: 60 თეთრი

გვ.5

ფოლიჭალასა და მარნეულში ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავეს

9 ნოემბრიდან

რჩეული ქართული ზღაპრები

ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

სააკაშვილი გლდანის №18 პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს

გვ.5

გლდანის ციხეში სპეცრაზმი შეიყვანეს



გვ.2

„იუსტიციის სამინისტრო ძალიან უსირცხვილოდ და უნამუსოდ მოიქცა“

პაატა ზაქარეიშვილი: „დღეს ვადამდელი არჩევნები რომ ჩატარდეს, ისევ ისე ჩატარდება, როგორც ახლა“

„5 დღის წინ სააკაშვილი რომ ვნახე, უკვე დაუძლურებული იყო“

გვ.3

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერია ანგრევს ყველა იმ პროცესს, რომლებსაც ოპოზიცია შეკრავს ხოლმე და მას ამიტომ არ იჭერს ივანიშვილი“

გვ.3

„ქართველ კაცთან ომში ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ გაიმარჯვა“

ნიკა მელია: „როცა ასე მალულად იპარავენ პატიმარს ციხიდან, რომც მიეყენებინა თავდაცვის მიზნით რაიმე სახის შეურაცხყოფა, ვინმეს უნდა გაუკვირდეს?“

გვ.2

გვ.4

„ნაცმოძრაობა და „ოცნება“ ერთმანეთში გადახლართული და ათქვეფილი არიან“

საქართველოში მწვანე პასპორტი

1 დეკემბრიდან ამოქმედდება

პენსიონერი, რომელიც კოვიდზე აიცრება, 200 ლარს მიიღებს

გვ.2

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდები შემოვიდნენ

გვ.5

ISSN 1987-9385

3 მეუფე ნიკოლოზმა მიხეილ სააკაშვილი აზიარა
„მესამე პრეზიდენტმა უდიდესი ღვაწლი გასწია“

5 პროკურორი ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე: „თანხის გათეთრება რომ მოხდა, ამას ვამტკიცებთ ჩვენ“

5 სალხინოს მონასტრის მიმდებარედ დაპირისპირებისას 7 პირია დაკავებული

6 გერმანიაში ავადობის კოეფიციენტმა რეკორდულად მაღალ ნიშნულს მიაღწია

„იუსტიციის სამინისტრო ძალიან უსირცხვილოდ და უნამუსოდ მოიქცა“

პაატა ზაქარეიშვილი: „დღეს ვადამდელი არჩევნები რომ ჩატარდეს, ისევ ისე ჩატარდება, როგორც ახლა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი-კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი პასუხობს.

– ბატონო პაატა, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს? აქციები ხელისუფლებისა თუ ოპოზიციის მხრიდან კვლავ აქტუალურია. შეჯიბრებაა, ვინ მეტ ხალხს გამოიყვანს? რა ხდება, რა რეალობა გვაქვს?

– „ქართული ოცნება“ კმაყოფილია შედეგებით და ცდილობს, ეს დაიკანონოს, ანუ რაც შეიძლება მალე დაიკანონოს და შეირგოს. ნაციონალური მოძრაობის გარშემო შემოკრებილი ოპოზიცია კი მკაფიოდ ცდილობს, არ შეარგოს „ქართულ ოცნებას“ ასეთი წარმატება და ხმაურითა და გარკვეული დაუმორჩილებლობით ცდილობენ, ტემპერატურა არ დასცენ. სააკაშვილიც თავისი შიმშილობით ეხმარება მათ ამ ტემპერატურის აწევაში.

– ასეთ ქაოსში როდემდე უნდა ვიყოთ, სამოქალაქო დაპირისპირებამდე ხომ არ მივალთ?

– სამოქალაქო დაპირისპირება ჯერ არ ჩანს. არჩევნებზე ხმები ისე გაიყო, პრაქტიკულად შუაზე გაყოფილი ხმებია. არჩევნების შედეგების მიხედვით, მთლიანად პოლარიზებულია ქართული პოლიტიკა, პრაქტიკულად გაკრეფილია შუა. ასე რომ, ბედნიერი უნდა იყოს ბიძინა ივანიშვილი, რომ მან თუნდაც ერთი დაპირება შეასრულა შუას გაკრეფაზე. მეორე პირობაც შესრულებადია, 800 ათას ადამიანს აქვს შევსებული მოთხოვნა მწვანე ბარათზე, ანუ 800 ათას კაცს ქვეყნის დატოვება უნდა. ეს არის კატასტროფული ზრდა. ესეც ბიძინა ივანიშვილის ბოლო საჯარო ინტერვიუში ნათქვამი სიტყვებია – ჩვენ დავეხმარებით ხალხს, დატოვონ საქართველო და სხვა ქვეყანაში გადავიდნენო. მე მგონი, ამ ორ პირობას წარმატებით ასრულებს „ქართული ოცნება“ და ეს პოლარიზება სრულიად გამაოგნებელია.

– ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილის საქართველოდან წასვლაზე. ეს ჭორებია თუ შესაძლოა, მან მართლა დატოვოს საქართველო?

– არა მგონია, რატომ უნდა დატოვოს, მშვენივრად მოეწყო და ამაზე კარგი პირობები სად უნდა ნახოს?! მისმა პარტიამ წარმატებას მიაღწია, საფრთხე არ ემუქრება, მისთვის ნაციონალური მოძრაობა არანაირ საფრთხეს არ წარმოადგენს. „ოცნების“ მთავარი თავისტკივილი დღეს არის სააკაშვილის შიმშილობა, რასაც ამდენი ხანი არ ელოდნენ.

– 40 დღე გავიდა, რაც სააკაშვილი შიმშილობს.

– ესეც საკმაოდ მნიშვნელოვანი თემაა და ამაზეც ღირს ნამდვილად საუბარი. სააკაშვილი შიმშილობს აშკარად სამედიცინო შიმშილობის კონტექსტიდან გამომდინარე. მსოფლიოში არსებობს უამრავი ფორმა, განსაკუთრებით ამ ბოლო დროს, როცა ადამიანები ათასობით დოლარს იხდიან, რათა სამედიცინო შიმშილობით დაამარცხონ რაღაც ავადმყოფობა. სამედიცინო შიმშილობა ნორმალური მოვლენა, როცა ადამიანები 40-დან 60 დღემდე შიმშილობენ ექიმების მეთვალყურეობით. ქართული ჯიგრული გაგებით შიმშილობა არის ის, როცა არაფერს არ ჭამ. სააკაშვილი შიმშილობას მეცნიერული და სამედიცინო მიდგომით მიუდგა.

– იუსტიციის სამინისტრომ გამოაქვეყნა კადრები, თუ როგორ იკვებება საქართველოს მესამე პრეზიდენტი ფაფებით.

– ძალიან უსირცხვილოდ და უნამუსოდ მოიქცა იუსტიციის სამინისტრო. კადრები გადაღებულია შორიდან, სადაც სააკაშვილი რაღაცას იღებს. მაგრამ ეს აშკარად არის სამედიცინო დაწესებულება. სამედიცინო დაწესებულებაში კი არასდროს საჭმელს არ ჭამენ. იქ იღებენ სამედიცინო მკურნალობას. ჭამენ სასადილოში, ან კამერაში. ეს არის დადგენილი წესები. სამედიცინო დაწესებულებაში პატიმარმა შეიძლება მიიღოს მხოლოდ და მხოლოდ სამედიცინო მომსახურება. ამ კადრებით არაფერი არ იცვლება, ვისაც უყვარდა სააკაშვილი და სჯერა მისი, მას ისევ სჯერა, რომ მიშა შიმშილობს, ხოლო ვისაც არ უყვარს და სძულს სააკაშვილი, მას სჯერა, რომ ის არღვევს შიმშილობას. ამ კადრებით არაფერი არ იცვლება. რატომ გააკეთეს ასეთი რამ, რატომ ირცხვენენ თავს? ეს ხომ ფარული ჩანაწერი არ არის. ეს ხომ ოფიციალურად გამოაქვეყნა ციხის დაწესებულებამ, ანუ მათ დაარღვიეს პატიმრის სამედიცინო საიდუმლო, დაარღვიეს მისი პერსონალური მონაცემები, ყველა უფლება დაარღვიეს და რისთვის? რომ ორი-სამი კაცით მეტი დაერწმუნებინათ, სააკაშვილი არ შიმშილობსო? მეტი ნამდვილად არ იქნება.

– რამდენად ემუქრება საფრთხე სააკაშვილის სიცოცხლეს?

– თუ სააკაშვილი შიმშილობს სამედიცინო შიმშილობის კონტექსტიდან გამომდინარე, მას შეუძლია, კიდევ დიდხანს გაძლოს ასე. ფაქტია, რომ ის თავისი ფეხით არის მისული სამედიცინო პუნქტში, ფაქტია, რომ ის მოძრაობს, მივიდა, დაჯდა და თავისი ხელით ჭამს. მოშიმშილე ადამიანი მე-40 დღეს, როგორც წესი, ვეღარ ჭამს. ის წევს და სხვა კვებავს. თუ ასე განვიხილავთ, მას ჯერ კიდევ გააჩნია სასიცოცხლო რესურსები და აპირებს, ჯერ კიდევ ამ ფორმით განაგრძოს. სიტუაცია მძიმე მაშინ იქნება, როცა ვეღარ იმოძრავებს, დაწვება და მოუწევთ, კვებონ კოვზით ან ზონდით.

– როდის შეიძლება გახდეს პროცესი უმართავი? დააჩქარებს „ოცნება“ სააკაშვილის ექსტრადირებას უკრაინაში?

– წესით, არჩევნებიდან ერთი თვის თავზე სააკაშვილი გადაცემული უნდა იყოს უკრაინისათვის, სასამართლო პროცესი თუ არ გაიწელა. თუმცა საზღვრის კვეთა არ არის ისეთი სახის დანაშაული, რასაც უამრავი მოწმის დაკითხვა და სხვა პროცედურები სჭირდებოდეს. არადა, ვალდებულია უკრაინა, რომ მიშა წაიყვანოს.

– წესით, ხელისუფლებასაც უნდა აწყობდეს მისი გადაცემა, რადგან მუდმივად ექნება საპროტესტო აქციები, სანამ სააკაშვილი ეყოლება ციხეში.

– კი, ასეა, ამიტომ ყველაზე კარგი გამოსავალია, რაც შეიძლება სწრაფად გაასამართლონ, სწრაფად გადასცენ უკრაინას და უკრაინა ვალდებულია, მიიღოს ის. უკრაინის სასამართლომ, წესით, პირობითი სასჯელი უნდა მიუსაჯოს. ეს ვარიანტი ყველას უნდა აწყობდეს, უკრაინასაც და საქართველოსაც.

– როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას მიშა ციხეში და ასეთი სახის პროტესტი აწყობს. ის ამით სერიოზული პრობლემების გადაფარვას ცდილობს. ყველგან მხოლოდ მიშა ისმის და არავინ საუბრობს ურთულეს ეკონომიკურ სიტუაციაზე, იმაზე, რომ საშინელი კოვიდსტატისტიკა გვაქვს და ამდენი ადამიანი გვიკვდება.

– არაჩვეულებრივი დასკვნაა. აბსოლუტურად ვიზიარებ. „ქართული ოცნება“ ძალიან კომფორტულად გრძნობს თავს. მას ეს ხმაური აწყობს. კორონავირუსია? იმიტომაა, რომ ნაციონალური მოძრაობა მიტინგებს აწყობს დღე და ღამე. აბსოლუტურად ყველაფერს გადააბრალებენ ნაციონალურ მოძრაობას. ნაციონალური მოძრაობა კი ცოცხალია, ბედნიერია იმით, რომ დადის ქუჩა-ქუჩა და დროშებს აფრიალებს. ორივე ბედნიერია. ჩემთვის ორივე ერთნაირად მიუღებელია. ყველა დაიღალა მათი თამაშით. საზოგადოებამ უნდა აგრძნობინოს ორივე პარტიას, რომ დაიღალა მათით. ვადამდელი არჩევნებიო. მე დღეს ვადამდელ არჩევნებში ვერ ვხედავ გამოსავალს. რომც ჩატარდეს, ისევ ისე ჩატარდება, როგორც ახლა ჩატარდა.

საქართველოში მწვანე პასპორტი 1 დეკემბრიდან ამოქმედდება

პენსიონერი, რომელიც კოვიდზე აიცრება, 200 ლარს მიიღებს

– „მწვანე პასპორტი“ 1 დეკემბრიდან ამოქმედდება და გაფართოვდება მისი მოქმედების არეალი.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ, 8 ნოემბერს, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც ღარიბაშვილმა აღნიშნა, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა 18 წლის ზემოთ მოქალაქეებზე გავრცელდება. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ან ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის პისიარ ტესტი, ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი.

– იყო მოსაზრება, რომ კორონავირუსგადატანილებზე ყოფილიყო 6-თვიანი შეზღუდვა, მაგრამ ჩემი მოსაზრება იყო, რომ ეს შეზღუდვა მოხსნილიყო და საბჭომ ეს წინადადება გაიზიარა.

„მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის, ასევე ტურისტებისთვის. 1 დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე პასპორტით“ შეძლებენ შესვლას სხვადასხვა ობიექტებში – კვების ობიექტებში, გასართობ ცენტრებში, კინოთეატრებში, ოპერაში, მუზეუმებში და ა.შ. დეტალური ჩამონათვალი იქნება გავრცელებული. აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება მხოლოდ ობიექტების სტუმრებზე და არა იქ მომუშავე ადამიანებზე, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

მისივე თქმით, პენსიონერი, რომელიც 1 იანვრამდე კორონავირუსის საწინააღმდეგო აცრას ჩაიტარებს, ერთჯერადად 200-ლარიან საპენსიო დანამატს მიიღებს.

– 8 ნოემბრიდან 200-ლარიან ერთჯერად საპენსიო დანამატს მიიღებს თითოეული პენსიონერი, რომელიც ვაქცინაციას 1 იანვრამდე ჩაიტარებს. დანამატი გაიცემა პირველი აცრის გაკეთების შემდეგ, – განაცხადა ღარიბაშვილმა.

ნიკა მელია: „როცა ასე მალულად იპარავენ პატიმარს ციხიდან, რომც მიეყენებინა თავდაცვის მიზნით რაიმე სახის შეურაცხყოფა, ვინმეს უნდა გაუკვირდეს?“

რატომ უნდა დავუჯერო მე რატი ბრეგაძეს საერთოდ რაიმე? როცა ასე მალულად იპარავენ პატიმარს ციხიდან, რომც მიეყენებინა თავდაცვის მიზნით რაიმე სახის შეურაცხყოფა, ვინმეს უნდა გაუკვირდეს? – ასე გამოეხმაურა ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელია ჟურნალისტებთან საუბრისას იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის განცხადებას, რომლის მიხედვითაც მიხეილ სააკაშვილმა №18 სამკურნალო დაწესებულებაში ციხის თანამშრომლებს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მელიას თქმით, მიხეილ სააკაშვილს ვერავინ და ვერაფერი გატეხს.

„რატომ უნდა დავუჯერო მე რატი ბრეგაძეს საერთოდ რაიმე? მით უმეტეს, ის, როცა ამბობს, რომ 40 დღის ნაშიმშილარმა ადამიანმა ციხის ზედამხედველს შეურაცხყოფა მიაყენა? როცა ასე მალულად იპარავენ პატიმარს ციხიდან, რომც მიეყენებინა თავდაცვის მიზნით რაიმე სახის შეურაცხყოფა, ვინმეს უნდა გაუკვირდეს? მოიტაცეს ადამიანი, ეს ნორმალური ქმედება ჩაიდინა? ასიათასობით ადამიანი ღელავს და საზოგადოება იმის ღირსი არ იყო, რომ წინასწარ განცხადება გაეკეთებინა შესაბამის უწყებას?

უმრავლესობის ნებაა ცვლილებები. ვერ გატეხს მიხეილ სააკაშვილს, ვერც აქ მყოფ ადამიანს ვერავინ. ჩვენ ვიბრძვით ერთი მიზნისთვის – ქვეყანას ჰქონდეს მომავალი“, – განაცხადა ნიკა მელიამ.

ბექა ბასილაია: „მიხეილ სააკაშვილი გლდანის ციხეში, სავარაუდოდ, იძულებით გადაიყვანეს“

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის ბექა ბასილაიას განცხადებით, გლდანის მე-18 სამკურნალო დაწესებულებაში მიხეილ სააკაშვილი, სავარაუდოდ, იძულებით გადაიყვანეს. ბექა ბასილაია გამოეხმაურა იუსტიციის მინისტრ რატი ბრეგაძის განცხადებას, რომლის თანახმადაც, მიხეილ სააკაშვილმა პენიტენციარული დაწესებულების თანამშრომლებს შეურაცხყოფა მიაყენა და აღნიშნა, რომ „ეს არის ხელისუფლების დღევანდელი დანაშაულებრივი ქმედების გადაფარვის მცდელობა“.

„დღეს თუ ვინმემ იძალადა, ეს იყო პენიტენციარული სამსახური, ეს იყო ღარიბაშვილი და ბრეგაძე. მათ მოტყუებით, სავარაუდოდ, იძულებით მოახდინეს მიხეილ სააკაშვილის გადაყვანა. სააკაშვილს გაცხადებული ჰქონდა, რომ არ გადავიდოდა მე-18 დაწესებულებაში. ამ დაწესებულებაში მის გადაყვანას ჰქონდა ერთადერთი მიზანი – მიხეილ სააკაშვილი მოექცეს ფსიქოლოგიური ტერორის ქვეშ, რაც ყოველ წამს გვესმის იქ მყოფ ადამიანებს. რაც შეეხება ბრეგაძის განცხადებას, ეს არის ხელისუფლების დღევანდელი დანაშაულებრივი ქმედების გადაფარვის მცდელობა. მათ უნდათ, მთავრიდან გამოგონილ ფაქტებზე გადაიტანონ ხალხის ყურადღება. მათ მიერ მოწყობილ პროვოკაციებთან დაკავშირებით სურთ მიხეილ სააკაშვილის პასუხისმგებლობაზე საუბარი. ეს არის უკიდურესი ცინიზმი. სამწუხაროდ, აღარ არსებობს იურიდიული მექანიზმები, აქ უკვე ქართველმა ხალხმა უნდა თქვას თავისი გადამწყვეტი სიტყვა. სასამართლო სისტემა არ არსებობს, ეს მომართულია მხოლოდ მიხეილ სააკაშვილის შურისძიებისთვის – შურისძიებისთვის იმიტომ, რომ მან დაასრულა კორუფცია, დაასრულა ორგანიზებული კრიმინალი, შურისძიებისთვის იმისთვის, რომ ამ ქვეყანაში ის ებრძოდა ოკუპანტ რუსეთს. მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ ამ ქმედებების დამკვეთი არის პუტინი და ივანიშვილია ამაზე პასუხისმგებელი. რატი ბრეგაძისნაირი კაცუნები მხოლოდ შემსრულებლები არიან. პირველს მას უნდა მოეთხოვოს პასუხი“, – განაცხადა ბასილაიამ „მთავარ არხთან“ ჩართვაში.

მისივე თქმით, სააკაშვილი აღარ არის უსაფრთხო გარემოში და მის მიმართ უკვე განხორციელდა ფსიქოლოგიური ტერორი.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეფერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„5 დღის წინ სააკაშვილი რომ ვნახე, უკვე დაუძლურებული იყო“

თაკო ჩარკვიანი: „ბოკერია ანგრევს ყველა იმ პროცესს, რომლებსაც ოპოზიცია შეკრავს ხოლმე და მას ამიტომ არ იჭერს ივანიშვილი“

იაგო ნაცვლიშვილი

რა მისცა ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის კადრების გავრცელებამ? რაში ხედავს მიხეილ სააკაშვილის გადარჩენის გზას? — ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პარტია „კანონი და სამართალის“ ლიდერი თაკო ჩარკვიანი საუბრობს.

– მძიმე ჯანმრთელობის მდგომარეობა აქვს საქართველოს მესამე პრეზიდენტს და იმასაც ვხედავთ, როგორ იქცევა ხელისუფლება. როგორ გაიგეთ პენიტენციარული სამსახურის მიერ გავრცელებული კადრები და რა მისცა რეალურად ამან ხელისუფლებას?

– „კომუნისტებს“ მოსდიოდათ ხოლმე ასეთი შეცდომები. 9 აპრილის წინ რაღაც სისულელეებს აკეთებდნენ. კადრებმა, პირიქით, გამოიწვია ხელისუფლების ანტიპიარი. ყველას შესაძლებლობა მიეცა ენახა, რომ ადამიანს ხელში უჭირავს რაღაც 10 გრამი ელექტროლიტი, რომელსაც სამედიცინო პუნქტში იღებს. მკვლელობა დაგეგმეს ამათ რუსეთთან ერთად თუ რა ხდება, ხალხო?!

მინერალური წყალი და ელექტროლიტი დააყვედრეს, შესთავაზეს, მოკვდიო. ეს უკვე მიხეილ სააკაშვილის თემა აღარ არის, მე ვარ შეურაცხყოფილი, როგორც პიროვნება და მოქალაქე. მე მსგავსი რამე არ გამიგია – კონსილიუმის დასკვნაა, რომ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, შესაძლოა, წუთებსა და საათებში კომური მდგომარეობა გამოიწვიოს და ჩვენ, საზოგადოება, ვერ ვახერხებთ, რომ გადავიყვანოთ მულტიფუნქციურ კლინიკაში. ამ დროს ჩვენ ვიცით შემთხვევები, როგორ გადაუყვანიათ მაღალჩინოსნების ნათესავები მულტიფუნქციურ კლინიკაში.

როდესაც ამას ბედავს ოლიგარქი, რომელიც ჯართად არის ქცეული და უნდა, მთელი საქართველო ჯართად გადააქციოს და ამას გვიბედავს, როგორც მოქალაქეს, ეს არ არის ის, რომ მიშას გამო სადღაც მივდივართ ან ვერ მოვდივართ.

მე სააკაშვილი 5 დღის წინ ვნახე. მას მეხსიერების პრობლემა არ ჰქონია საუბრისას, მაგრამ თვალნათლივ შემიძლია გითხრათ, რომ ფეხები ჰქონდა ძალიან დასიებული და როგორ შემოვიდა და გავიდა, ეს ხომ ადამიანს არ გამოგეპარება. იქ იჯდა დაუძლურებული და ჯანმრთელობაშერყეული ადამიანი. ამიტომ მართლაც წამებისა და მკვლელობის თანამონაწილეებს გვხდიან. ეს რა უბედურებაა?! ექიმებს ვესაუბრები ხოლმე და ისინი იმასაც კი ამბობენ, უკვე დაგვიანებულიაო და ეს არის უმძიმესი პროცესი. პროფესიონალმა ექიმმა ასე ამიხსნა, რომ როდესაც გაითიშება მოშიმშილე ადამიანი, მისი გამოყვანა იქიდან პრაქტიკულად შეუძლებელია, რადგან მოაკლდა მთელი რიგი ნივთიერებები. ახლა ჩვენ ვუყურებთ დაგეგმილ მკვლელობას. სააკაშვილი აშკარად პუტინის პირადი ტყვეა. გვაყურებინებენ წამებას და ჩვენ ვერაფერს ვერ ვაკეთებთ. ვიღაცა დაეპატრონა ჩემს სამშობლოს და კიდევ მე მიპირებს, რომ გამხადოს მისი დაგეგმილი მკვლელობის თანამონაწილე?! არ გავალ იქიდან. აწიოკებული გვაქვს უკვე ოჯახები. არ გვინდა, შვილებს ეს ვაყურებინოთ.

მე არ მესმის ეს – მივედით, მერე გამოვპროწიალდით უკან. მე მგონია, რომ ორგანიზატორებმა... უნდა შევაწუხოთ, რა. მიხვედი, წამოხვედი, რას ჰქვია. უნდა დაიწყოს მორიგეობა რუსთაველზე და ავაწრიალოთ, რათა ჩვენ არ გავხდეთ ამ უბედურების თანამონაწილეები. დაველოდები ორგანიზატორებს და მერე მივიღებთ გადაწყვეტილებას.

– თქვენ და თამარ ჩერგოლეიშვილს შორის რატომ გაჩაღდა პოლემიკა?

– არ ვიცი. თქვენ თვითონ ნახავდით, რომ მოწმენდილ ცაზე უცებ დაწერა... ნინო გოგუაძემაც ეგრე თქვა ელენე ხოშტარიაზე, მერე თავად გოგი ხოშტარიამაც იგივე თქვა, მეც მკითხა ჟურნალისტმა, ვთქვი, მივესალმები ელენე ხოშტარიას ვაჟკაცურ გადაწყვეტილებას, იმედია, პრეზიდენტს გადაიყვანენ მულტიფუნქციურ დაწესებულებაში და ეს ჯოჯოხეთი მალე დასრულდება-მეთქი. რა ვთქვი ცუდი?!

დააკვირდით, თამარ ჩერგოლეიშვილი იმ ადამიანებს გვებრძვის, რომლებიც სიტყვას შეგაწევთ ან გვერდში ვუდგავართ მესამე პრეზიდენტს. ეს მას და მის მეუღლეს დიდი ხანია აღიზიანებთ.

– ანტიმიშისტებად ჩამოყალიბდნენ?

– ეს კომპლექსები აქვთ, აბა რა. სააკაშვილთან ბრძოლაში 2016 წელს ნაციონალური მოძრაობა გაყვეს, მერე სააკაშვილის ჯიბრით „ძალა ერთობაშიას“ ეტაკნენ. მერე 20 ივნისს აქციას დაუგდეს მუხტი. მერე იმ ადამიანებს გვებრძვიან, რომლებიც გვერდში ვუდგავართ ამ გაჭირვების ჟამს ყოფილ პრეზიდენტს. ვერ გაუძლო მათ ჯიბრს ხალხმა და გაიქცა მათი პარტიიდან.

– ამ ვითარებაშიც კი ებრძვიან სააკაშვილს, როცა ასეთი მძიმე პერიოდი უდგას მას?

– რა თქმა უნდა. თქვენ სადმე, რომელიმე აქციაზე გინახავთ ბოკერია?! პატიმრის დასაცავად რომ მიხვიდე, რა მოგივა, შე კაცო?! მაგრამ ამ ბოღმით დადიან. დარწმუნებული ვარ, ამ ბოღმით იმ წლებში ბევრ სიბინძურეს აკეთებდნენ, რომ ყველაფერი მესამე პრეზიდენტს დაჰბრალებოდა.

– არ დადის ბოკერია სააკაშვილის მხარდამჭერ აქციებზე?

– მე ნამდვილად არ მინახავს. მაშინ ის იყო უშიშროების საბჭოს მდივანი, ახლა იძახიან, ყველაფერი სააკაშვილის ბრალიაო და მას არავინ არაფერს არ ეკითხებოდა?! ყველას პასუხი მოსთხოვეს ის წლების გამო და ბოკერიას რატომ არ სთხოვენ, ხომ არ იცით შემთხვევით?! ჰკითხეთ მას.

– თქვენ როგორ ფიქრობთ?

– ეგენი ანგრევენ ყველა იმ პროცესს, რომლებიც ოპოზიციას კბილებით მოაქვს. აი, ეს დანგრევა აწყობს ივანიშვილს და ამიტომ არ იჭერს მას.

– ივანიშვილს ჰყავს ბოკერია „ნაყიდი“?

– მე არ ვიცი, რა ჰყავს. ფულის გადაცემის თემა მე არ ვიცი, ვინ ვის მიაწვდის 2 მანეთს თუ ათ მანეთს, მაგრამ ფაქტია, რომ რასაც ჩვენ ვხედავთ, მიშა სააკაშვილისა და ოპოზიციის ჯიბრზე ყველა იმ პროცესს, რომლებსაც ოპოზიცია შეკრავს ხოლმე, ანგრევს ბოკერია. მაინცდამაინც ის უნდა ვნახოთ მე და შენ, ფულს თუ გადაურიცხავენ? ალბათ ეგეც გამოჩნდება ცოტა ხანში.

რომან გოცირიძე: „კაცმა არ იცის, როგორ მოხდა მიხეილ სააკაშვილის საკნიდან გამოყვანა“

რაც დღეს ხელისუფლებამ გვაჩვენა, არაცივილიზებული და ველური ფორმაა – მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აიყვანეს ცაში და 1 საათი თუ საათ-ნახევარი ვერტმფრენით დააფრენდნენ, კაცმა არ იცის, როგორ მოხდა მისი საკნიდან გამოყვანა, – ამის შესახებ ნაციონალური მოძრაობის წევრმა რომან გოცირიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

როგორც გოცირიძე განმარტავს, ხელისუფლება ადამიანის სიცოცხლეს რისკავს.

„ღარიბაშვილმა მოგვიწოდა დიალოგისკენ. ვინ მოგვიწოდებს დიალოგისკენ? ანტივაქსერი ადამიანი, რომელმაც დღესაც ისეთი გადაწყვეტილება მიიღო, რომელიც ამ პანდემიის პერიოდში ათასობით ადამიანის სიკვდილს შეუწყობს ხელს.

ის ადამიანი მოგვიწოდებს დიალოგისკენ, რომლის ენაც მთელი ამ თვეების განმავლობაში სიძულვილის გამოხატულება იყო და თავდასხმა ოპოზიციაზე, მათ შორის, მიხეილ სააკაშვილისადმი. ახლა გაახსენდა დიალოგი?! დიალოგი არის ცივილიზებული ურთიერთობის ფორმა. ის ფორმა, რომელიც დღეს ხელისუფლებამ გვაჩვენა, არაცივილიზებული, ველური ფორმაა. მძიმე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი აიყვანეს ცაში და 1 საათი თუ საათ-ნახევარი ვერტმფრენით დააფრენდნენ. კაცმა არ იცის, როგორ მოხდა მისი საკნიდან გამოყვანა. ეს რომ ნებაყოფლობით არ მოხდებოდა, ამაში დარწმუნებული ვარ, ასევე იმაშიც, რომ ვერტმფრენში რეანიმაციის აპარატურა არ იქნებოდა. რისკავს ადამიანის სიცოცხლეს. რა ენა ესმის ხელისუფლებას? დიალოგის ენა მათი ფანდია“, – აღნიშნავს გოცირიძე.

მეუფე ნიკოლოზმა მიხეილ სააკაშვილი აზიარა

„მესამე პრეზიდენტმა უდიდესი ღვაწლი გასწია“



გუშინ, 8 ნოემბერს, რუსთავის ციხეში საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალქალაქისა და კუმურდოს მიტროპოლიტმა, მეუფე ნიკოლოზმა აზიარა.

ამის შესახებ მეუფე ნიკოლოზმა ჟურნალისტებს განუცხადა.

როგორც მან აღნიშნა, 40-დღიანი მშრალი მარხვით სააკაშვილმა ძალიან დიდი ღვაწლი გასწია.

– 40 დღე იმარხულა ამ ადამიანმა, იმარხულა მშრალი მარხვით. ამის შემდეგ მან თქვა აღსარება და ეზიარა. 30 წელია, მე ვიბარებ ადამიანებისგან აღსარებას, ვაზიარებ ადამიანებს და არასდროს არავის მოუცია ჩემთვის შენიშვნა, რომ მე უღირსად ვაზიარე ადამიანი. იგი ეზიარა ღირსეულად.

მე დეტალებს ვერ მოგიყვებით, რა და როგორ იყო, მაგრამ მან მიიღო წმინდა ზიარება. ვისაც თვალში ეცოტავება, 40 დღე იმარხულეთ და შემდეგ თქვით აღსარება, ეზიარეთ და ნახავთ, რა ღვაწლი გასწია. ეს არის ძალიან დიდი ღვაწლი, რაც ამ ადამიანმა გასწია. ეს არის მსხვერპლი, რომელიც მან გაიღო ქვეყნის თავისუფლებისთვის, ქვეყნის გაძლიერებისათვის და იმისთვის, რომ ჩვენ ერთმანეთი გვიყვარდეს და სამუდამოდ დავივიწყოთ სიძულვილის ენა.

თანამედროვე რეალობაში მე ასეთი მაგალითი არ მახსენდება. მხოლოდ ისტორიული მაგალითები შემიძლია დავასახელო. თანამედროვე რეალობაში ასეთი მაგალითები არ ვიცი. ასეთი იყო დავით მეფე, მეფსალმუნე, რომელმაც ცოდვა ჩაიდინა და ფსალმუნი დაგვიტოვა, ეს იყო დავით აღმაშენებელი, რომელმაც „გალობანი სინანულისანი“ შექმნა იმიტომ, რომ უცოდველი არავინ არ არის, ბოლოს ეს იყო დემეტრე თავდადებული, რომელსაც ძალიან მძიმე ცოდვები ჰქონდა და ეს თავისი ცოდვები მოწამეობრივი სისხლით ჩამოირეცხა, – განაცხადა მეუფე ნიკოლოზმა.

„ქართველ კაცთან ომში ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ გაიმარჯვა“

მურმან დუმბაძე: „მე არ მაქვს სურვილი, მთავრობა პანღურით შეიცვალოს“

ნათია ხურცილავა

„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ ერთ-ერთი ლიდერი მურმან დუმბაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო მურმან, პრემიერმა ღარიბაშვილმა ოპოზიციასთან მოლაპარაკების მზაობა გამოთქვა. მამუკა ხაზარაძე უკვე შეხვდა პარლამენტის თავმჯდომარეს. რამდენად შედეგიანი შეიძლება იყოს დიალოგი?

– დიალოგს წინ არაფერი უდგას, მაგრამ დიალოგი დიალოგისთვის არავის არაფერს მოუტანს. ჩვენი ამოცანაა მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის გადარჩენა. დიალოგი უნდა შედგეს იმაზე, რომ პოლიტიკურ კონკურენციას ალტერნატივა არ აქვს.

თავიდან ბოლომდე პროცესი პოლიტიკურია და ამიტომ პრობლემა პოლიტიკოსებმა უნდა გადაწყვიტონ. მერე უკვე ამ ქვეყნის მოქალაქეები გადაწყვეტენ, სად უნდათ მიხეილ სააკაშვილი – დილეგში თუ პოლიტიკაში. მე ხომ არ ვამბობ, რომ ახლავე ქარხნის დირექტორად დავნიშნოთ. ქართველი ხალხი, ამ ქვეყნის მოქალაქეები გადაწყვეტენ, თუ სად დანიშნონ სააკაშვილი. ახლა მისი სიცოცხლის გადარჩენაზეა საუბარი.

თუ ივანიშვილს პოლიტიკური ნება ექნება, მაშინ „ქართული ოცნებაც“ გადარჩება და ივანიშვილიც, რა თქმა უნდა, თუ პოლიტიკაში უნდა დარჩენა. თუ ამის საწინააღმდეგოდ წავა, ეს იქნება ისტორიის წინააღმდეგ წასვლა. ისტორია კი გვეუბნება, რომ ქართველ კაცთან ომში ვერც ერთმა ხელისუფალმა ვერ გაიმარჯვა. დღეს თუ მოიგო, ხვალ აუცილებლად წააგებს. ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ივანიშვილს ვარწმუნებ, რომ დღევანდელი მოგება დროებითია. თუ გინდა, ხვალაც მოიგო, ხალხის ნებიდან გამომდინარე უნდა იმოქმედო. არც ისე შორეული წარსულია შევარდნაძე, ასლან აბაშიძე, რომლებმაც ისტორიის მცდარ მხარეს გადაწყვიტეს დადგომა და არ ეპატიათ.

– დიალოგისთვის პარლამენტის ტრიბუნაა შემოთავაზებული. ოპოზიცია საპარლამენტო მუშაობაში ჩაერთვება?

– ეს გამორიცხულია. დიალოგი პარლამენტში არის ის, რაც აქამდე იყო და შედეგი გვქონდა ნული. საქართველოს მოქალაქემ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, სად ურჩევნია, მისი წარმომადგენელი იყოს, პარლამენტში თუ გარეთ, მის გვერდით. მე, პირადად, იმ ხელისუფლებასთან, რომელსაც ხელისუფლება აქვს მიტაცებული, არ ვითანამშრომლებ და სრულ სამოქალაქო დაუმორჩილებლობას ვუცხადებ, თუმცა, ცხადია, ჩემი პოზიცია სრულებით არ გამორიცხავს დიალოგს ვადამდელ არჩევნებზე და იმ საკითხებზე, რომლებზეც გესაუბრეთ, პირველ რიგში – პოლიტიკური წნეხისგან გათავისუფლებაზე.

ახლა იმაზე საუბარი და დიალოგი ხელისუფლებასთან, თუ რამდენი ბიუჯეტი ექნება ქუთაისისა თუ ზუგდიდის საკრებულოს, სიმართლე გითხრათ, არა მგონია, ადეკვატური იყოს. ეს არ არის პირველი რიგის ამოცანა და, იმედი მაქვს, ამას ივანიშვილიც კარგად აცნობიერებს.

– აშკარაა, რომ ხელისუფლების ტონი შერბილდა. რას უკავშირებთ?

– საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელი იმყოფება. ამერიკელი დიპლომატი შეხვედრას შეხვედრაზე მართავს როგორც ოპოზიციასთან, ისე ხელისუფლებასთან. ცხადია, კულუარული ინფორმაცია არ მაქვს, მაგრამ აშკარაა, რომ ბედნიერი არ უნდა იყოს „ქართული ოცნება“ ამ შეხვედრებით. გამოცდილი ამერიკელი დიპლომატი გრძნობს, რომ ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა, იმდენად იგრძნობა ირგვლივ დაძაბულობა.

გაოცებული ვარ, რომ ვუყურებ „ქართული ოცნების“ ლიდერებს. ამ ქვეყანაში ცხოვრობდე, გამოვლილი გქონდეს სამოქალაქო დაპირისპირება, ის ყველაფერი, რაც ჩვენივე ხელით დავმართეთ ჩვენსავე ქვეყანას და ოდნავადაც არ ფიქრობდე, არ ღელავდე, ვაითუ იგივე შეცდომა საკუთარი უგუნურებით დავმართო ქვეყანას. ხომ ვიცით, როგორი კატასტროფით მთავრდება ასეთი დაპირისპირება! 30 წლის წინ ასე რომ არ მოვქცეულიყავით, ამ მდგომარეობაში არ ვიქნებოდით, მაგრამ 30 წლის წინანდელს ვიღა ჩივის, როდესაც იმავე შეცდომისთვის არიან მზად! ხუთი პრეზიდენტიდან ორი აუცილებლად უნდა მოვკლათ, სამოქალაქო ომი გავაჩაღოთ და იმავე წრეზე ვიტრიალოთ, ამას ქვეყანა ვეღარ გაუძლებს. ჩემზე მეტი სააკაშვილის წინააღმდეგ არც ერთ მათგანს არ უბრძოლია. ივანიშვილის პარტიის წევრებზე ვსაუბრობ, მაგრამ ახლა დროა გააცნობიერონ, რა შეიძლება, აქედან მივიღოთ. მე არ მაქვს სურვილი, რომ მთავრობა პანღურით შეიცვალოს. ამიტომ დაფიქრდნენ. დიალოგს ალტერნატივა არ აქვს, მაგრამ დიალოგს – არა დიალოგისთვის, არამედ კრიზისის განმუხტვისთვის.

„ნაცმოძრაობა და „ოცნება“ ერთმანეთში გადახლართული და ათქვეფილი არიან“

გიგა ბუკია: „მიტინგები რომ ჩაივლის, „ქართული ოცნება“ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვას თვითონ გადაწყვეტს“

მარიამ მჭედლიშვილი

ქვეყანაში შექმნილი რთული მდგომარეობის ზოგიერთ ასპექტზე „ახალი თაობა“ ესაუბრა კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს, ყოფილ დეპუტატს გიგა ბუკიას.

– პირველი შეკითხვა პოლიტიკასაც ეხება და ადამიანის უფლებების დაცვასაც. უფლებადამცველების შეფასებით, ხელისუფლებამ დაარღვია მოშიმშილე პატიმარ მიხეილ სააკაშვილის უფლებები, როცა გაასაჯაროვა მისი პერსონალური მონაცემები. მათი განცხადებით, მესამე პრეზიდენტმა საკვები დანამატები გარკვეული პრეპარატების მაგივრად ექიმების რეკომენდაციით მიიღო. მას შიმშილობა არ შეუწყვეტია. სააკაშვილის მომხრეების თქმით კი მას საერთოდ არ უშიმშილია. თქვენ რას იტყვით?

– ეს ყველაფერი ძალიან სამარცხვინოა. ის, რაც საქართველოში ხდება, თავისმომჭრელია. „ოცნებამაც“ და ნაცმოძრაობამაც დაამტკიცეს, რომ მათთვის არანაირი მორალური პრინციპები და თამაშის წესები არ არსებობს. ორივე ძალა ყველანაირ ზღვარს გადავიდა. ქვეყნის მომავალი, ხალხის მდგომარეობა არც ერთ მათგანს არ აინტერესებს. ორივეს ამოცანაა ძალაუფლება და პარტიული ანგარიშები.

– ნაცმოძრაობა აქციებს აგრძელებს სხვადასხვა ქალაქში. ადგილობრივი არჩევნების მეორე ტურის წინ მმართველმა პარტიამაც მოაწყო ძალების დემონსტრირება. რას უნდა ველოდოთ?

– როცა საქმე გვაქვს ყველაფერზე წამსვლელ და ყველაფერზე ხელისმომწერ ძალებთან, ძნელია, განჭვრიტო მომავალი. ერთი რამ აშკარაა – ამას სიკეთე არ მოაქვს ქვეყნისათვის. მათ უარყვეს პოლიტიკური თამაშის წესები.

– გისაუბრიათ იმაზე, რომ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას საერთო ინტერესები აქვთ, რომ სააკაშვილის ჩამოსვლა ორივეს ხელს აძლევდა არჩევნების დროს. ის, რაც ახლა ხდება, რატომ უნდა აწყობდეს ხელისუფლებას?

– ეს მდგომარეობაც აწყობს ორივეს. ავხსნი, რა არის საქმე. შეგახსენებთ, სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი იმ საკონსტიტუციო (საარჩევნო საკითხები) ცვლილებების მიმართ, რომლებიც პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო. ვამბობდი, რომ სანამ „საკანონმდებლო მაცნეში“ არ ვნახავდი დამტკიცებულ საკონსტიტუციო შესწორებებს, არ დავიჯერებდი, რომ რაღაც შეიცვალა. ახლა ვხედავთ, რომ ეს ცვლილებები ჰაერში გამოეკიდა. მოხდა ის, რისი ეჭვიც მქონდა – საკონსტიტუციო ცვლილებები არც ნაცმოძრაობას უნდა და არც მმართველ პარტიას. ოპოზიცია ბოიკოტის რეჟიმზე გადავიდა. ზოგმა ოპოზიციონერმა მანდატი დატოვა, „ოცნების“ ლიდერებმა კი გამოაცხადეს, რომ არანაირი ვალდებულება არა აქვთ, მიიღონ საკონსტიტუციო ცვლილებები. ეს იმას ნიშნავს, რომ კოალიციაც არც ერთს არ სურს.

– ანუ ორივეს უნდა ერთპიროვნული მმართველობა არჩევნების შემდეგაც?

– ცხადია. რაც უნდა ილაპარაკოს ნაცმოძრაობამ, რომ კოალიციისთვის იბრძვის, ეს ფარისევლობაა. ორივეს უნდა არსებული მოცემულობის დატოვება. თუ დაინიშნა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, ის გაიმართება შერეული სისტემით, ე.ი. 2020 წლის არჩევნების მსგავსად. ასეთი არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ან ისევ „ქართული ოცნება“ მოვა, ან ნაციონალური მოძრაობა დაბრუნდება. აი, ესაა იმ ორმხრივი იწილობიწილოს გაგრძელების მიზანი, რასაც თვალს ვადევნებთ.

– თქვენ შესაძლო ვადამდელი არჩევნების ძველ მოდელზე საუბრობთ. თუ საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად საარჩევნო ბარიერმა არ დაიწია, ეს 2024 წლის არჩევნების შედეგ ზეც ხომ აისახება?

– რასაკვირველია. დარჩება 5%-იანი ბარიერი. მართალია, შემოვა სრულად პროპორციული სისტემა, მაგრამ ამ ბარიერის გადალახვას შეძლებს მაქსიმუმ 3 სუბიექტი. ვფიქრობ, ვადამდელი არჩევნების ალბათობა დიდია.

– მით უმეტეს, რომ საარჩევნო მოდელი არ იცვლება?

– დიახ. მე მგონია, მიტინგები რომ ჩაივლის, „ქართული ოცნება“ თვითონ გადაწყვეტს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამართვას. ეს შეიძლება იყოს 2022 წლის შემოდგომაზე ან 2023 წლის გაზაფხულზე. როგორც გითხარით, შანსები ექნებათ მხოლოდ „ქართულ ოცნებასა“ და ნაცმოძრაობას. სამწუხაროდ, ეს ასეა.

– გამოითქმის მოსაზრება იმაზე, რომ ჯობია კოალიციის მონახაზი წარმოადგინოს ოპოზიციამ ნაციონალური მოძრაობის გარეშე.

– ეს არის სურვილი. მისი განხორციელება ამომრჩეველზეა დამოკიდებული. ამ ბოლო არჩევნებზეც პირველები „ქართული ოცნება“ და ნაცმოძრაობა იყვნენ. დანარჩენმა ოპოზიციამ ჯამში 15%-ზე მეტი ვერ მოაგროვა. სამომავლო კოალიციისთვის ეს ძალიან მცირე პროცენტია.

– წალენჯიხის პრეცედენტზე რას იტყვით?

– მე მთლიანად სამეგრელოს რეგიონზე ვიტყვი. აქ „ქართულ ოცნებას“ ძალიან გაუჭირდა, როგორც ვვარაუდობდი. ამას ხელი შეუწყო „ოცნების“ ლიდერების, მაღალჩინოსნების გაუაზრებელმა განცხადებებმა და ქმედებებმა, მათი მრჩევლების არაკომპეტენტურობამ. ცხადი იყო, რომ ხალხს არ მოეწონებოდა შეურაცხმყოფელი განცხადებები ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას მიმართ. არ შეიძლება, ასე მოექცე კაცს, რომელიც ახლახან შენი პარტიის საარჩევნო სიის სათავეში იყო. ამას დაემატა არასწორი საკადრო პოლიტიკა. ადამიანი ვერ არჩევს, სადაა ნაცმოძრაობა და სად – „ოცნება“. ორივე პარტიის წევრები და კანდიდატები გადახლართული და ათქვეფილი არიან ერთმანეთში. „ქართული ოცნების“ შედეგი ძალიან დაბალი აღმოჩნდა მთელ დასავლეთ საქართველოში. ეს გამოჩნდა ბათუმსა და ქუთაისშიც. ეს ხელისუფლებისთვის სამარცხვინო შედეგია.

„სააკაშვილი ბევრის ხელში ინსტრუმენტია“

მაია ნიკოლეიშვილი: „თუ ადამიანი მართლა ავად არის, ის არ შეიძლება, ჩვეულებრივი სასამართლოთი გავასამართლოთ“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი პასუხობს.

– ქალბატონო მაია, წინა ხელისუფლების წარმომადგენლებს 7 ნოემბრის სიმძიმე არ აკომპლექსებთ, ანუ 2007 წლის ნოემბერს განვითარებულ მოვლენებში პრობლემას ვერ ხედავენ. ხომ არ ფიქრობთ, რომ ყველა ხელისუფალი ასეთ მოვლენებში პრობლემას უნდა ხედავდეს და პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდეს?

– მე 7 ნოემბრის აქციაზე არ ვიყავი და ვერ ვიქნებოდი, რადგან, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაში ვიმყოფებოდი, თუმცა ძალიან კარგად მახსოვს, როგორ გამორბოდნენ ადამიანები მომწამვლელი აირის გაშვების შემდეგ. 7 ნოემბერს აგრეთვე აკუსტიკური იარაღი გამოიყენეს. რატომღაც ამას არ ახსენებენ.

– მე ვარ იმ მოვლენების მონაწილე და ვიცი, რომ აკუსტიკური იარაღიც გამოიყენეს და პლასტიკური ტყვიებიც, რომლის გამოყენების უფლებაც არ ჰქონდათ. იმ დროს პლასტიკური ტყვიების გამოყენება კანონით აკრძალული იყო. მერე შეიტანეს კანონში ცვლილება და დააკანონეს.

– არ ვიცი, კანონიერი იყო თუ არა, მაგრამ ვიცი, რომ აკუსტიკური იარაღი და პლასტიკური ტყვიები გამოიყენეს. აკუსტიკური იარაღი საქართველოში მანამდე არასოდეს გამოყენებულა. დიდი მანქანებია, რომლებიც გარკვეული სიხშირის ბგერებს გამოსცემენ, რასაც ადამიანი სასოწარკვეთილებამდე მიჰყავს და აბსოლუტურად უკარგავს ბრძოლისუნარიანობას. არ ვიცი, ეს თემა რატომ არ გახდა განსჯის საგანი, რა იარაღი იყო, როგორ გამოიყენეს.

საშინელი ვითარება იყო. ჩემი მეგობრის შვილი, რომელსაც პოლიტიკაზე წარმოდგენა არ აქვს, მეგობრებთან ერთად კინო „რუსთაველში“ იმყოფებოდა. საშინელება იყო, რაც მისმა დედამ გადაიტანა, შვილი შს თბილისის სამმართველოში რომ წაიყვანეს. კინოთეატრში შეცვივდნენ, ადამიანები ცემეს და კინოთეატრიდან ძალის გამოყენებით გამოიყვანეს. ადამიანი კინოს საყურებლად იყო წასული. უბრალოდ, ახალგაზრდებმა ვერ განსაზღვრეს, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მიტინგი ტარდებოდა, კინოთეატრში არ წასულიყვნენ.

– ეს დღე რატომ არ აკომპლექსებთ და პრობლემას რატომ ვერ ხედავენ?

– ეს არის ასეთი ტიპის ადამიანების ჩვევა – მათი ყველა ნამოქმედარი სწორია, რაც ინფანტილიზმია. ასეთი ადამიანები პასუხისმგებლობას ვერ გრძნობენ, ანუ რასაც ისინი აკეთებენ, კარგია, ცუდს სხვა აკეთებს. მათგან მონანიება გამორიცხულია. მათ ამის უნარი არ აქვთ. ისინი ყოველთვის ფიქრობენ, რომ კარგს აკეთებენ.

ინფანტილურ ადამიანებს ბავშვის ფსიქიკა აქვთ, რომელიც პასუხისმგებლობას ვერ გრძნობს. ყოველთვის ფიქრობენ, რომ მათ არ გაუფუჭებიათ, სხვამ გააფუჭა. ასეთი ადამიანები პასუხისმგებლობას ვერ აიღებენ. მათგან არც შეცდომების მონანიებას უნდა ველოდოთ და არც პასუხისმგებლობის აღებას. ეს ადამიანების სხვა კასტაა, სამწუხაროდ.

ყველა ადამიანი, რომელიც იქითაა, ასეთია. ეს მათი ფსიქიკის თავისებურებაა. ასეთი ადამიანები შეიყარნენ და ისინი ყოველთვის მართლები არიან, ანუ მართლა ასე ჰგონიათ, მართლა ასე თვლიან. მათ სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემა აქვთ. ამიტომ ჩვენი შეგონება, რომ ეს მათი დანაშაულია, არ ჭრის. მათ დახშული აქვთ გონება. სააკაშვილი სოციოპათია. სოციოპათს სერიოზული დეფექტი აქვს.

– რა დეფექტი?

– ამ ტიპის ადამიანებს სინდისის დეფექტი აქვთ, რადგან საერთოდ არ დაჰყოლიათ. ეს წმინდა ფსიქოლოგიური პრობლემაა. მათ არ აქვთ ამის შეგრძნება. დიდი ილუზია იყო კოაბიტაცია ანუ თანაცხოვრება.

– ილუზია რატომ იყო?

– საერთოდ, თანაცხოვრება შეიძლება სრულფასოვან ადამიანებთან, მაგრამ ამ ადამიანებს (ზოგს – სინდისის, ზოგს – აღქმის, ზოგს – ნარცისიზმის) სერიოზული ფსიქოლოგიური დარღვევები აქვთ. აქედან გამომდინარე, ილუზიაა შეგონება – ისეა, როგორც მგლის თავზე სახარების წაკითხვა, ანუ მას არ ესმის, მაგრამ არა იმიტომ, რომ განათლება არა აქვს, არამედ მის პიროვნებაში გარკვეული დეფექტებია. მას აქვს გარკვეული დეფექტები, რომლებსაც ფსიქოლოგის მუშაობა სჭირდება.

ფუჭია ჩვენი მცდელობა, შევაგნებინოთ, მათში სინდისი გავაღვიძოთ. ეს არ მოხდება. ალბათ, შეცდომა იყო გათვლა, რომ ისინი რაღაცას შეიმეცნებდნენ. არა, ბატონო, ეს არ მოხდება. სხვაგვარად უნდა მოვიქცეთ. უნდა შეიქმნას სახელმწიფო კომისია ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, რომლებიც გააანალიზებენ, დაწერენ, რა არ უნდა მოხდეს. ამიტომ ამ ადამიანების შეგნებას ნუ დაველოდებით. ეს არასოდეს მოხდება.

– ერთი მხრივ, ამბობენ, რომ სააკაშვილს ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს, მეორე მხრივ, მოუწოდებენ, რომ შიმშილობა გააგრძელოს.

– ვის როგორ აწყობს, იმას ამბობს. ამ შემთხვევაში სააკაშვილი ბევრის ხელში ინსტრუმენტია იმისა, რომ შეიქმნას წამებულის ფიგურა და მათი პოლიტიკური ინტერესები დაკმაყოფილდეს. რაც უნდა იყოს (ამწუთში მე ვლაპარაკობ, როგორც ექიმი), რა ქვენა გრძნობებიც უნდა ჰქონდეთ, ვის და როგორადაც უნდა უნდოდეს სააკაშვილის გამოყენება ან სამუდამო პატიმრობა, როდესაც ადამიანზე მისი ახლობელი იტყვის, რომ ის ადეკვატური არ არის, მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება.

აუცილებლად უნდა ჩატარდეს გადაუდებელი ექსპერტიზა. ადამიანი ხბოს ღვიძლს იღებს და ამბობს, რომ წამალია. ესეც სიგნალია. თუ ადამიანი მართლა ავად არის, ის, არ შეიძლება, ჩვეულებრივი სასამართლოთი გავასამართლოთ.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ეს იყო ისტორიული არჩევნები და ისტორიული გამარჯვება“

– მე მინდა, კიდევ ერთხელ შევაფასო არჩევნები. ეს იყო ნამდვილად ისტორიული არჩევნები და ეს იყო ისტორიული გამარჯვება.

ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა გუშინ, 8 ნოემბერს, მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მან ხაზი გაუსვა, რომ ეს იყო ხალხისა და ჩვენი ქვეყნის გამარჯვება.

– მინდა, რომ კიდევ ერთხელ მადლობა გადავუხადო ჩვენს ხალხს, ჩვენს საზოგადოებას გამოცხადებული ნდობისთვის და მინდა ვუთხრა მათ, ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მათი ეს ნდობა გავამართლოთ. რა თქმა უნდა, ეს არის უაღრესად საპატიო საქმე, მაგრამ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. ჩვენ ვაცნობიერებთ ამ პასუხისმგებლობას და დღეიდან მხოლოდ საქმეზე უნდა გავაკეთოთ კონცენტრირება.

მინდა, მინისტრებს საჯაროდ განვუცხადო, რომ დღეიდან მხოლოდ საქმეზე უნდა ვისაუბროთ, მხოლოდ საქმეზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი და ის დაპირება, პროექტები, ინიციატივები, რაზეც საუბარი გვქონდა არჩევნების დროს, კამპანიის დროს, მხოლოდ ამ პროგრესზე უნდა გვქონდეს საუბარი მოსახლეობასთან. 24-საათიან რეჟიმში, აბსოლუტურად მოტივირებულები, განახლებული, გაათმაგებული ენერგიით უნდა შევუდგეთ საქმეს.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ჩვენი ხალხის და ჩვენი ქვეყნის წინაშე დღეს ძალიან ბევრი გამოწვევა და ძალიან ბევრი პრობლემაა. ეს არის სამუშაო ადგილების სიმცირე, სიღარიბე, უმუშევრობა, პანდემია, ოკუპაცია, ამიტომ ჩვენ არ გვაქვს დასაკარგი დრო. ჩვენ მხოლოდ საქმეზე უნდა გავაკეთოთ აქცენტი და უნდა ვიმუშაოთ 24-საათიან რეჟიმში ჩვენი ხალხისთვის და ჩვენი ქვეყნისთვის, – განაცხადა მთავრობის მეთაურმა.

მისივე თქმით, 9 თვის ეკონომიკურმა ზრდამ 11,3% შეადგინა.

– გადაიხედა რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზიც და, ჩვენი ვარაუდით, წელს გვექნება ორნიშნა ეკონომიკური ზრდა. ეკონომიკური ზრდის პროგნოზის ზრდიდან გამომდინარე, გაიზარდა ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის პროგნოზიც და ბიუჯეტის პირველ ვერსიაში პროგნოზირებული 58,4 მლრდ ლარის ნაცვლად გადამუშავებულ ვერსიაში პროგნოზირებულია 58,7 მლრდ ლარის ოდენობით.

რეალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი 2022 წელს შეადგენს 6%-ს. მაკროეკონომიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე, 2022 წლის ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა 65 მლრდ ლარს შეადგენს, რაც ნიშნავს იმას, რომ ერთ სულ მოსახლეზე მშპ გადასცდება 5.500 აშშ დოლარს, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

სალხინოს მონასტრის მიმდებარედ დაპირისპირებისას 7 პირია დაკავებული

მარტვილში, სალხინოს მონასტრის მიმდებარედ განვითარებული მოვლენების დროს სამართალდამცველებმა 7 პირი დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ უწყების პრესსამსახურში განუცხადეს, 6 პირი ადმინისტრაციული წესით არის დაკავებული, ხოლო ერთი – სისხლის სამართლის საქმეზე.

„6 პირია დაკავებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით, რაც პოლიციის კანონიერი მოთხოვნის დაუმორჩილებლობასა და წვრილმან ხულიგნობას გულისხმობს, ხოლო კიდევ ერთი პირი სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლითაა დაკავებული, რაც პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ავტომობილის დაზიანების ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს“, – განმარტავენ შინაგან საქმეთა სამინისტროში.

მარტვილში, სალხინოს მონასტრის მიმდებარედ 7 ნოემბერს დილიდან ხმაური იყო. ადგილობრივების ნაწილი ტაძრის ეზოში შესვლას ცდილობდა, რისი უფლებაც მათ ადგილზე მობილიზებულმა სამართალდამცავებმა არ მისცეს. მოგვიანებით, ტაძრის მიმდებარედ ვითარება მას შემდეგ დაიძაბა, რაც ადგილზე ჭყონდიდის ეპარქიიდან განკვეთილი სასულიერო პირები გამოჩნდნენ. ჭყონდიდის ეპარქიიდან განკვეთილ სასულიერო პირებს მონასტერში ყოფნის ვადა 4 ნოემბერს ამოწურათ.

ჭყონდიდის მიტროპოლიტმა, მეუფე სტეფანემ, 15-მდე სასულიერო პირს მღვდელმსახურება რამდენიმე თვის წინ აუკრძალა და ისინი მონასტრიდან განკვეთა.

ტომას კენედის მკვლელობის საქმის სასამართლო 17 ნოემბრისთვის გადაიდო

ბრიტანელი ტურისტის მკვლელობისა და დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებული 5 პირის სასამართლო პროცესი გორში გუშინ, 8 ნოემბერს, უნდა გამართულიყო, თუმცა 17 ნოემბრისთვის გადაიდო.

როგორც ერთ-ერთი ბრალდებულის, ვასილ ოქროპირიძის ადვოკატმა, თამარ თედლიაშვილმა „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, გამოძიების ვადის გაგრძელების გამო წინასასამართლო სხდომა 8 ნოემბრის ნაცვლად 17 ნოემბრისთვის ჩაინიშნა.

გორის რაიონულმა სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებაში ჯგუფურად ჩადენილ განზრახ მკვლელობასა და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დაკავებულ 5 პირს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა 12 ოქტომბერს შეუფარდა.

შეგახსენებთ, მოკლული ტომას კენედის ცხედარი მდინარე მტკვარმა სოფელ ქვახვრელთან 7 ოქტომბერს გამორიყა. შსს-ს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, გორში, 7 ოქტომბერს მომხდარ განზრახ მკვლელობის ფაქტთან დაკავშირებით 5 პირი 10 ოქტომბერს დააკავეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, დაკავებულებს შორის 3 პირი წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის არის ნასამართლევი.

1993 წელს დაბადებული ტომას კენედის მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და სსკ-ის 376-ე მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს.

ხულოში ხოზრევანიძეების სახლი დაიწვა

7 ნოემბერს ხულოში, სოფელ ღურტაში, ხოზრევანიძეების საცხოვრებელი სახლი მთლიანად დაიწვა. ადგილზე სახანძრო-სამაშველო ჯგუფები იყო მობილიზებული. შემთხვევის შედეგად არავინ დაშავებულა.

ადგილობრივების ინფორმაციით, ხანძრის გამომწვევი მიზეზები უცნობია.

ოჯახი უსაფრთხო ადგილზეა გადაყვანილი. ხულოს მერიაში აცხადებენ, რომ დაზარალებული ოჯახის მდგომარეობას სპეციალური კომისია შეისწავლის და სათანადო დახმარებას გაუწევს.

სააკაშვილი გლდანის №18 პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს

გლდანის ციხეში სპეცრაზმი შეიყვანეს

გუშინ, 8 ნოემბერს, მიხეილ სააკაშვილი გლდანის სპეციალურ სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს.

ამის შესახებ პენიტენციარული სამსახურის განცხადებაშია ნათქვამი:

„ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების პრევენციის მიზნით და მომატებული საფრთხეებიდან გამომდინარე პატიმარი მიხეილ სააკაშვილი გადაყვანილია მე-12 პენიტენციარული დაწესებულებიდან №18 ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში. დამატებით ინფორმაციას საზოგადოებას ეტაპობრივად მივაწვდით“.

გუშინვე გლდანის ციხის სამკურნალო დაწესებულებასთან საპოლიციო ძალების მობილიზება მოხდა.

დაწესებულების ეზოში ყვითელი ავტობუსებით სპეცრაზმი შეიყვანეს. ამასთან, დაწესებულების ეზოში შეიყვანეს პოლიციის მანქანები.

მესამე პრეზიდენტი ციხის საავადმყოფოში, სავარაუდოდ, ჯავშანმანქანებით გადაიყვანეს. მანამდე რუსთავის ციხესთან ვერტმფრენი გამოჩნდა. როგორც ჩანს, ვერტმფრენი მანქანებს თავდაცვისთვის გაჰყვა, რადგან, არსებული ინფორმაციით, გლდანის ციხესთან ვერტმფრენი არ დამჯდარა.

გუშინ საღამოს სახალხო დამცველის წარმომადგენელი გლდანის მე-18 სასჯელაღსრულების სამკურნალო დაწესებულებაში შევიდა.

ამის შესახებ ნინო ლომჯარიამ „ნეტგაზეთს“ უთხრა.

ლომჯარიას თქმით, ამ ეტაპზე მისთვის უცნობია, რამდენად გამართულია ინფრასტრუქტურულად გლდანის ციხის საავადმყოფო, თუმცა, მის ხელთ არსებული ბოლო ინფორმაციით, კლინიკაში სამედიცინო ინფრასტრუქტურა, კონსილიუმის რეკომენდაციების შესაბამისად, გამართული არ იყო.

– ჩვენ დაახლოებით ერთი კვირის წინ შევამოწმეთ მეორედ. გარკვეული სამედიცინო ინფრასტრუქტურა არ იყო ადგილზე და, როგორც გვითხრეს, შეუძლებელიც იქნებოდა, რომ ყოფილიყო. გამორიცხავდნენ, მაგალითად, მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის აპარატის დაყენებას, ასევე სხვა აპარატურას. ჩემი წარმომადგენელი მიდის ადგილზე და კიდევ ერთხელ შეავაფასებთ.

რაც შეეხება უსაფრთხოების რისკებს, მათ შორის ფსიქოლოგიური ზეწოლის და ღირსების შემლახავი მოპყრობის რისკებს სხვა პატიმრების მხრიდან, ეს რისკები, რა თქმა უნდა, არსებობს. ასევე იქნება რისკები მისი მონახულების შემთხვევაში მისი ადვოკატების მიმართაც, თუმცა ადგილზე გავეცნობით ვითარებას და შემდეგ გეტყვით, რამე თუ შეიცვალა ინფრასტრუქტურულად, დააზღვიეს ეს რისკები თუ არა, – თქვა ლომჯარიამ.

ექიმი ლევან ფერაძე ამბობს, რომ თუ მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა სერიოზულია, გლდანის ციხის საავადმყოფოში მას შესაბამისად ვერ უმკურნალებენ.

„მთავარ არხთან“ საუბრისას ექიმი ამბობს, რომ კლინიკა შესაბამისად აღჭურვილი არ არის. ამიტომ მან თავის დროზე გლდანის ციხის ექიმებს მოუწოდა, რომ პასუხისმგებლობა არ აეღოთ.

მისივე შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის გლდანის ციხეში გადაყვანა პოლიტიკური შურისძიებაა.

– მე ამწუთში არ ვიცი, როგორია მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა, მაგრამ თუ იქ არის სერიოზული პრობლემა, დღეს ასეთი ხმაც გამოვიდა, რომ პოლიუკმარისობის საფრთხე არისო, ცალსახად გეუბნებით, რომ იმ საავადმყოფოში ვერაფრით დაეხმარებიან.

მე მოვუწოდე ციხის ექიმებს, რომ არ აეღოთ თავის თავზე ეს ცოდვა, საავადმყოფო არის სტრუქტურა, რომლის აწყობასაც წლები სჭირდება და ამ საავადმყოფომ 23 ოქტომბერს მიიღო მკურნალობის უფლება, მანამდე არ ჰქონდა.

ეს არის პატარა სულის ადამიანის პოლიტიკური შურისძიება ადამიანზე, – თქვა ლევან ფერაძემ.

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდები შემოვიდნენ

საქართველოს ტერიტორიულ წყლებში ამერიკის შეერთებული შტატების მე-6 ფლოტის სამეთაურო ხომალდი – USS Mount Whitney (LCC 20) და საზღვაო ხომალდი – USS Porter (DDG 78) შემოვიდნენ. ხომალდების ეკიპაჟების წევრებს ბათუმის პორტში შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტის დირექტორი, I რანგის კაპიტანი რამაზ პაპიძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე დახვდნენ.

აშშ-ის საზღვაო ძალების ხომალდების ვიზიტი ხაზს უსვამს მნიშვნელოვან ურთიერთობას ნატოს მოკავშირეებსა და შავი ზღვის რეგიონის მნიშვნელოვან პარტნიორს – საქართველოს შორის, ასევე, ადასტურებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის წარმატებულ თანამშრომლობას და მიზნად ისახავს საზღვაო უსაფრთხოების გაძლიერებას, აშშ-ის რეგიონული პარტნიორების სტაბილურობის უზრუნველყოფას, მზადყოფნისა და საზღვაო შესაძლებლობების გაზრდას.

საქართველოში საპორტო ვიზიტის ფარგლებში ორი ქვეყნის საზღვაო დანაყოფების წარმომადგენლები, გამოცდილების გაზიარების მიზნით, სხვადასხვა შეხვედრას გამართავენ, ასევე, ერთობლივი საზღვაო წვრთნები გაიმართება შავ ზღვაში, რაც ხელს შეუწყობს ეკიპაჟებს შორის ურთიერთქმედების გაუმჯობესებას და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის შესაძლებლობების განვითარებას.

ხომალდები – USS Mount Whitney da USS Porter საზღვაო ოპერაციებს ამერიკის მე-6 ფლოტის სამოქმედო არეალში ახორციელებენ. მე-6 ფლოტი, რომელიც ბაზირებულია ნეაპოლში, ერთობლივი და საზღვაო ოპერაციების სრულ სპექტრს ახორციელებს. ოპერაციები ტარდება მოკავშირეებსა და პარტნიორებთან კოორდინირებულად, რათა ხელი შეუწყონ ევროპასა და აფრიკაში უსაფრთხოებასა და სტაბილურობას.

USS Mount Whitney (LCC 20)აშშ-ის მე-6 ფლოტის ფლაგმანი ხომალდია. „ბლუ რიჯის“ კლასის სამეთაურო გემი აღჭურვილია ახლო მანძილის თავდაცვითი შეიარაღებით. აღნიშნული ხომალდი საქართველოს მეხუთედ სტუმრობს. მასზე წარმოდგენილია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საზღვაო დამრტყმელი და მხარდამჭერი ძალების მეთაურობა, რომელსაც ხელმძღვანელობს მე-6 ფლოტის უფროსი, ევროპასა და აფრიკაში აშშ-ს სამხედრო-საზღვაო ძალების მეთაურის მოადგილე, ვიცეადმირალი ეუჯინ ბლექი.

USS Porter (DDG 78) კი აშშ-ის საზღვაო ძალების „არლი ბურკის“ კლასის მართვადი სარაკეტო გამანადგურებელია, რომელსაც შეუძლია წყალქვეშა ნავების საწინააღმდეგო საომარი მოქმედებებისა და ბალისტიკური სარაკეტო თავდაცვის წვრთნებისა და ოპერაციების ჩატარება. ხომალდი საქართველოს მეოთხედ ეწვია.

ფონიჭალასა და მარნეულში ნარკოდანაშაულისთვის 2 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული ნ.ქ. მარნეულში, ხოლო 1992 წელს დაბადებული ლ.კ. ფონიჭალის დასახლებაში დააკავეს, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ შინაგან საქმეთა სამინისტროდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, მათ ბრალად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა ედებათ.

დანაშაული 8-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„სამართალდამცველებმა ფონიჭალის დასახლებაში ლ.კ.-ს პირადი ჩხრეკის შედეგად ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ჰეროინის“ შემცველი 700 გრამი ნარკოტიკული საშუალება.

რაც შეეხება ნ.ქ.-ს, პოლიციამ იგი ქალაქ მარნეულში დააკავა.

სამართალდამცველებმა, მისი პირადი და საცხოვრებელი სახლის დამზმარე ნაგებობის ჩხრეკის შედეგად, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს „ჰეროინის“ შემცველი ნახევარ კილოგრამზე მეტი ნარკოტიკული საშუალება.

განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის მე-6 ნაწილით მიმდინარეობს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

პროკურორი ხაზარაძე-ჯაფარიძის საქმეზე: „თანხის გათეთრება რომ მოხდა, ამას ვამტკიცებთ ჩვენ“

გუშინ, 8 ნოემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლოში ე.წ. ფულის გათეთრების საქმეზე სასამართლო პროცესი გაიმართა, რომელზეც ბრალდებულები მამუკა ხაზარაძე, ბადრი ჯაფარიძე და ავთანდილ წერეთელი არიან.

– თანხის გათეთრება რომ მოხდა, ამას ვამტკიცებთ ჩვენ. აღნიშნულზე არსებობს ბრალდების შესახებ დადგენილება, რომელშიც საკმაოდ ცხადად და გასაგებად არის საუბარი, თუ რაში გამოიხატა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, – ამის შესახებ მამუკა ხაზარაძის, ბადრი ჯაფარიძისა და ავთანდილ წერეთლის საქმის პროკურორმა არჩილ ტყეშელაშვილმა განაცხადა.

როგორც პროკურორი განმარტავს, პროკურატურის მიერ სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებები გამამტყუნებელი განაჩენისთვის საკმარისია.

– ბრალდების მხარემ სასამართლოს წარმოვუდგინეთ არაერთი, უტყუარი და დამაჯერებელი მტკიცებულება, რომელიც ბრალეულობას ადასტურებს. აღნიშნული მტკიცებულებები იყო მოწმეთა ჩვენებები, წერილობითი მტკიცებულებები, ექსპერტიზის დასკვნები, ეროვნული ბანკის და ასევე რევიზიის დასკვნები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ეს მტკიცებულებები საკმარისია გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტისთვის, რომ საქმეზე გამამტყუნებელ განაჩენი გამოვიდეს.

თანხის გათეთრება რომ მოხდა, ამას ვამტკიცებთ ჩვენ, აღნიშნულზე არსებობს ბრალდების შესახებ დადგენილება, რომელშიც საკმაოდ ცხადად და გასაგებად არის საუბარი, თუ რაში გამოიხატა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია. რაც შეეხება დაცვის მხარის მტკიცებულებებს, დღევანდელ სხდომაზე ახალი არაფერი გამოკვლეულა. უცხოელი პირების ჩვენებები გამოაქვეყნეს, აღნიშნული ჩვენც გვქონდა გამოქვეყნებული, ეს მოწმეები, მიგვაჩნია, რომ ბრალდების მხარის მოწმეები არიან და მათი ჩვენებები ერთერთ კომპონენტს წარმოადგენს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ნაწილში“, – განაცხადა არჩილ ტყეშელაშვილმა.

მამუკა ხაზარაძესა და ბადრი ჯაფარიძეს ბრალი წარედგინათ 2019 წლის 24 ივლისს ჯგუფურად 16.664.000 ამერიკული დოლარის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება (დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით). ავთანდილ წერეთელს პროკურატურა ბადრი ჯაფარიძისა და მამუკა ხაზარაძისთვის უკანონო შემოსავლების ლეგალიზებაში დახმარებას ედავება.

გერმანიაში ავადობის კოეფიციენტმა რეკორდულად მაღალ ნიშნულს მიაღწია

გერმანიაში ავადობის შვიდდღიანმა კოეფიციენტმა 201.1-ს მიაღწია, რაც რეკორდულად მაღალი მაჩვენებელია ქვეყნისთვის პანდემიის დაწყების დროიდან.

რობერტ კოხის ინსტიტუტის მონაცემების თანახმად, დღემდე ავადობის ყველაზე მაღალი შვიდდღიანი კოეფიციენტი, რომელიც ყოველ 100.000 მოსახლეზე დაინფიცირების ახალი შემთხვევების რაოდენობას ასახავს, გასული წლის დეკემბერში იყო დაფიქსირებული და 197.6-ს შეადგენდა.

ყველაზე რთული სიტუაციაა საქსონიის, თიურინგიისა და ბავარიის მხარეებში. გერმანიაში თითქმის 56 მილიონი ადამიანი, ანუ მოსახლეობის დაახლოებით 67%, სრულადაა ვაქცინირებული, თუმცა ვაქცინაციის მაჩვენებელი სხვადასხვა მხარეში განსხვავებულია. მაგალითად, საქსონიაში სრულად ვაქცინირებულია მოსახლეობის 57.1%, მაშინ როდესაც ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიის მხარეში ეს მაჩვენებელი 70%-ს აჭარბებს.

გერმანიის პოლიტიკური პარტიები – „სოციალ-დემოკრატები“, „მწვანეები“ და „თავისუფალი დემოკრატები“, რომლებიც სამთავრობო კოალიციის შექმნასთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს აწარმოებენ, ქვეყანაში კოვიდ 19-ის პანდემიის მეოთხე ტალღის წინააღმდეგ ბრძოლის წინადადებებს წარადგენენ.

აღნიშნული პარტიები შეცდომად მიიჩნევენ იმას, რომ ქვეყანაში კოვიდტესტის ჩატარება ფასიანი გახდა და ამ გადაწყვეტილების შეცვლას გეგმავენ.

ბაიდენმა ნიკარაგუის საპრეზიდენტო არჩევნებს ფარისევლობა უწოდა



აშშ-ის პრეზიდენტი ჯო ბაიდენი ნიკარაგუაში ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნებს „ფარისევლობად“ და „პანტომიმად“ აფასებს.

– ის, რაც ნიკარაგუის პრეზიდენტმა დანიელ ორტეგამ და მისმა მეუღლემ, ვიცეპრეზიდენტმა როსარიო მურილომ მოაწყვეს, პანტომიმური არჩევნებია, რომელიც არ იყო არც თავისუფალი და არც სამართლიანი და, რა თქმა უნდა – არც დემოკრატიული. ნიკარაგუაში ფარისევლური არჩევნები ჩატარდა, – ნათქვამია ჯო ბაიდენის განცხადებაში.

ჯო ბაიდენმა ორტეგას მოუწოდა, „დაუყოვნებლივ გადადგას ნაბიჯები დემოკრატიის აღსადგენად“ და „უსამართლოდ დაპატიმრებული“ პირების გასათავისუფლებლად.

ნიკარაგუაში არჩევნები 7 ნოემბერს ჩატარდა, რომლის შემდეგაც ქვეყნის პრეზიდენტი ზედიზედ მეოთხედ დანიელ ორტეგა გახდება.

აშშ-სა და ევროკავშირს ორტეგას რეჟიმის წინააღმდეგ სანქციები აქვთ დაწესებული.

იტალიაში 70 მაფიოზის განაჩენი გამოუტანეს

იტალიის სასამართლომ მაფიოზური დაჯგუფება „ნდრანგეტას“ 70 წევრს განაჩენი გამოუტანა.

ბრალდებულების ნაწილს 20-წლიანი პატიმრობა მიესაჯა, ჯგუფის დაახლოებით მესამედს კი – 10 ან მეტი წლით თავისუფლების აღკვეთა.

ეს არის მაფიასთან დაკავშირებით ჩატარებული ყველაზე დიდი სასამართლო პროცესი 1980-იანი წლების შემდეგ და ის იანვრიდან მიმდინარეობს.

355 ბრალდებული ჯერ კიდევ გასასამართლებელია. პროცესი, სავარაუდოდ, ორი ან მეტი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

მაფიის მოწინააღმდეგე პროკურორი ნიკოლა გრატერი, რომელიც „ნდრანგეტასთან“ დაპირისპირების გამო 30 წელზე მეტია, პოლიციის დაცვის ქვეშ ცხოვრობს, აცხადებს, რომ ყველაფერმა კარგად ჩაიარა.

– არაფრის და არავის არ მეშინია. ყოველთვის იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ და, თუ სიმართლეს ვერ ვამბობ, ეს იმიტომ, რომ ნათქვამის დამტკიცებას ვერ ვახერხებ, – აცხადებს პროკურორი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

საქართველოს ნაკრებმა შეკრება ცვლილებით დაიწყო

საქართველოს საფეხბურთო ნაკრებმა ნოემბრის თამაშებისთვის საწვრთნელი შეკრება დაიწყო. ვილი სანიოლის გუნდი შვედეთთან და უზბეკეთთან დაგეგმილი მატჩებისთვის 25 ფეხბურთელის შემადგენლობით მოემზადება, მაგრამ ფრანგი სპეციალისტის მიერ გასულ კვირას დასახელებულ შემადგენლობაში ერთი იძულებითი ცვლილებაა. ტრავმის გამო წლის დასკვნით მატჩებს გიორგი მიქაუტაძე გამოტოვებს. ბელგიური სერენის ფეხბურთელის ნაცვლად აზერბაიჯანული ზირას თავდამსხმელი დავით ვოლკოვია გამოძახებული.

26 წლის ფეხბურთელი საქართველოს ნაკრების გაფართოებულ სიაში პირველად მოხვდა. ვოლკოვი 10 ტურის შემდეგ აზერბაიჯანის ჩემპიონატის ბომბარდირთა სიის ლიდერია. ფეხბურთელს 8 გოლითა და 3 საგოლე გადაცემით საუკეთესო მაჩვენებელი აქვს.

8 ნოემბერს საქართველოს ნაკრებმა ზესტაფონის თბილისის ზღვის ბაზაზე არასრული შემადგენლობით ივარჯიშა.

საქართველოს ნაკრების სრული შემადგენლობა ასეთია:

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), ლაზარე კუპატაძე (დინამო ბთ), ლუკა გუგეშაშვილი (დილა);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვია, პოლონეთი), დავით ხოჭოლავა (კოპენჰაგენი, დანია), გურამ გიორბელიძე (დინამო, გერმანია), გრიგოლ ჩაბრაძე, ირაკლი აზაროვი (ორივე დინამო ბთ), ლუკა ლოჩოშვილი (ვოლფსბერგერი, ავსტრია), ლაშა დვალი (ფერენცვაროში, უნგრეთი);

ნახევარდაცვა: ჯაბა კანკავა (სლოვანი, სლოვაკეთი) საბა ლობჟანიძე (ჰატაი, თურქეთი), ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი), ხვიჩა კვარაცხელია (რუბინი, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (არსენალი, რუსეთი), ვაკო გვილია (ჩესტოხოვა, პოლონეთი), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), გიორგი აბურჯანია (ჟილ

ვისენტე, პორტუგალია), გიორგი წიტაიშვილი (ჩერნომორეცი, უკრაინა), ვაკო ყაზაიშვილი (ულსანი, ს.კორეა), გიორგი ჩაკვეტაძე (გენტი, ბელგია);

თავდასხმა: თორნიკე ოქრიაშვილი (აპოელი, კვიპროსი), ნიკა კაჭარავა (ანორთოსისი, კვიპროსი), დავით ვოლკოვი (ზირა, აზერბაიჯანი).

ლევან მაისაშვილი: „ნოემბერში განსხვავებულ გუნდებს ვეთამაშებით“

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები უკვე ბორდოშია და საფრანგეთთან მატჩისთვის მზადებას იქ გააგრძელებს.

ჩვენი ნაკრები საფრანგეთში დანაკლისით ჩავიდა – „ბორჯღალოსანთა“ ვარჯიშზე გელა აფრასიძეს მხრის ძველი ტრავმა გაუმიზეზდა და გუნდს ნოემბრის თამაშებში ვერ დაეხმარება.

23 წლის მონპელიეს მორაგბემ მხარი ტოპ 14-ში, ტულუზთან მატჩში სექტემბერში დაიზიანა, რის გამოც დაახლოებით თვე-ნახევარი იძულებით დაისვენა და მოედანს 30 ოქტომბერს დაუბრუნდა.

ლევან მაისაშვილი:

– ძალიან სამწუხარო დანაკლისია. როგორც ჩანს, მისი მხრის ტრავმის რეაბილიტაცია დასრულებული არ იყო და ვარჯიშზე აბსოლუტურად უწყინარ სიტუაციაში, მოედანზე დაცემისას საფრანგეთში მიღებული ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. გელა ძალიან კარგ ფორმაში იყო და ეს ჩვენთვის შეუფასებელი დანაკლისია. რა დრო დასჭირდება მის გამოჯანმრთელებას, დეტალური გამოკვლევის შემდეგ გახდება ცნობილი, თუმცა, მინიმუმ, 3 კვირა დასვენება მოუწევს და, შესაბამისად, ნოემბერში ვერ დაგვეხმარება. მაგრამ რაგბი და ზოგადად სპორტი ტრავმების გარეშე არ არსებობს და ვერაფერს ვიზამთ. არსებულ რეალობას თვალი უნდა გავუსწოროთ.

აფრასიძის ნაცვლად გაფართოებულ რაზმს შავი ლომიდან თენგიზ პერანიძე დაემატა.

– პერანიძეზე იმიტომ შევაჩერეთ არჩევანი, რომ შავი ლომი ყველაზე ახლოსაა ჩვენს სათამაშო სისტემასთან. გარდა ამისა, მიგვაჩნია, რომ დღესდღეობით ის სხვა კანდიდატებზე უკეთეს ფორმაშია. საფრანგეთთან მატჩისთვის ინტენსიურად ვემზადებით და ვამუშავებთ როგორც დაცვის, ასევე შეტევის სისტემებს. მზადების დასკვნით ფაზას საფრანგეთშივე გავივლით. შარშანაც გვქონდა შესაძლებლობა, რომ 6 ერის მიერ ორგანიზებულ ძლიერ ტურნირში გვეთამაშა, მაგრამ მაშინ საფრანგეთთან შეხვედრა არ მოგვიწია.

ამ ეტაპისთვის საფრანგეთი 2023 წლის მსოფლიო თასის ერთ-ერთი მთავარი პრეტენდენტია. ის სახიფათოა ყველა ასპექტში, როგორც ძალისმიერ, ასევე ხელდახელ თამაშში. ჩვენთვის დიდი გამოწვევა და პატივია მათთან თამაში. ასევე არის შესაძლებლობა, გამოვცადოთ ჩვენი ძალები.

საფრანგეთისგან განსხვავებული გუნდია ფიჯი. ჩვენთვის ის რთული, უხერხული მეტოქეა. ვეცდებით, მათთან ბოლო შეხვედრის ანალიზი გავაკეთოთ და მაქსიმალურად შევუქმნათ პრობლემები იქ, სადაც ეს შესაძლებელია. სავარაუდოდ, 2023 წლის მსოფლიო თასზე ფიჯი ჩვენს ჯგუფში იქნება და ამ თამაშს მაქსიმალურად მომზადებული შევხვდებით.

გვქონდა პატარ-პატარა პრობლემები, თუმცა მაქსიმალურად ოპტიმალურ შემადგენლობას მოვუყარეთ თავი. ლევან ჩილაჩავა გამოძახებული იყო, მაგრამ პრობლემები ჰქონდა და ვერ ჩამოვიდა.

შეტევის ახალ მწვრთნელს, ახალზელანდიელ კორი ბრაუნს პირველად აქვს შეხება ლეგიონერებთან და ნანახით კმაყოფილია.

კობი ბრაუნი:

– ძალიან კარგია, რომ ლეგიონერები ჩამოვიდნენ და გუნდი ერთად შეიკრა. წინ 2 უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის და მონდომებით ვემზადებით. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო, ყველა მორაგბე პირადად გამეცნო, მენახა, რა შეუძლიათ ინდივიდუალურად. ვთვლი, რომ საკმაოდ სწრაფ რაგბის თამაშობენ და, რა თქმა უნდა, ძლიერები არიან მოლსა და რაქში.

ბორჯღალოსნები 14 ნოემბერს საფრანგეთს – ბორდოში, ხოლო ფიჯის 20 ნოემბერს არანხუესში (ესპანეთი) ეთამაშებიან.

ბორჯღალოსნების გაფართოებული რაზმი ნოემბრის ტესტებისთვის ასეთია:

შერკინება: მიხეილ ნარიაშვილი, ნიკოლოზ ხატიაშვილი, გურამ გოგიჩაშვილი; შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, ვანო კარკაძე; ბექა გიგაშვილი, გიორგი მელიქიძე, ლუკა ჯაფარიძე; კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, გრიგორ ქერდიყოშვილი; გიორგი ცუცქირიძე, ბექა საღინაძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, ბექა გორგაძე;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, თენგიზ პერანიძე, მიხეილ ალანია; თედო აბჟანდაძე, გიორგი ბაბუნაშვილი; მერაბ შარიქაძე, გიორგი კვესელაძე, დემურ თაფლაძე, სანდრო სვანიძე; სანდრო თოდუა, აკაკი ტაბუცაძე, მირიან მოდებაძე; დავით ნინიაშვილი, ლაშა ხმალაძე.

ილიას ზუროსი ბერძნულ გუნდს გაწვრთნის

საქართველოს საკალათბურთო ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ილიას ზუროსმა ბერძნული პრომეთეასი ჩაიბარა.

საბერძნეთის უმაღლესი საკალათბურთო ლიგის ერთ-ერთმა წამყვანმა გუნდმა ზუროსს კონტრაქტი გაუფორმა, რომლის საფუძველზეც პრომეთეასის მთავარი მწვრთნელი იქნება და გუნდს საბერძნეთის ჩემპიონატთან ერთად ევროთასზეც გაიყვანს.

ილიას ზუროსი:

– ძალიან მოხარული ვარ, რომ პრომეთეასთან მოლაპარაკებები წარმატებით დასრულდა. ამ გუნდში ყველა პირობა იქნება საიმისოდ, რომ საქართველოს ეროვნულ ნაკრებში მუშაობაში ხელი არ შემეშალოს. პირიქით, კლუბში მუშაობა ჩემთვის აუცილებელიც იყო, რადგან მუდმივად კალათბურთით ვიქნები დაკავებული. აქამდეც სულ კალათბურთში ვიყავი ჩართული, მაგრამ სულ სხვაა, როცა მთელი სეზონი პროფესიულად მუშაობ და სულ საქმეში ხარ, მონაწილეობ ოფიციალურ მატჩებში, თანაც სად – საბერძნეთის ჩემპიონატში და ევროთასზე, რომელიც ძალიან დაძაბული და მაღალი დონისაა.

– აქამდეც გქონდათ საკმაოდ მაღალი დონის კლუბისგან შემოთავაზება, მაგრამ უარი თქვით.

– ესპანეთის ჩემპიონატისა და ევროლიგის წესები განსხვავებულია. ამ ტურნირებში მოთამაშე კლუბების მთავარი მწვრთნელი არ უნდა იყოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი. კონტრაქტს ესპანეთის უმაღლესი ლიგის გუნდი ბურგოსი მთავაზობდა, მაგრამ, რადგან საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვერ ვიმუშავებდი, ამ შემოთავაზებაზე უარი ვთქვი. ზოგადად, ეროვნული ნაკრების მწვრთნელებისთვის მიზანშეწონილი და კარგია კლუბში მუშაობა, რადგან ესაა დიდი გამოცდილების, პროფესიული ზრდის საშუალება. უამრავი მაგალითი შემიძლია დავასახელო: რაღა შორს წავიდეთ, საბერძნეთის ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი პერისტერის მთავარი მწვრთნელია. ასევე ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელიც კლუბშია დაკავებული და კიდევ მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ქალაქ პატრასის გუნდი პრომეთეასი საბერძნეთის მიმდინარე ჩემპიონატში 5 ტურის შემდეგ 4 გამარჯვებით მე-2 ადგილზეა. წინა სეზონში პატრასელებმა შიდაჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავეს.

ეროვნული ლიგის ქვედა ნაწილში ბრძოლა დაიძაბა

თელავი-საბუთიანი 2:1
თელავი. კავკასიონი არენა

1:0 მარაქველიძე (13), 2:0 ჟუნიორი (18), 2:1 გულიაშვილი (90)

თელავი: სანიკიძე, ძოწენიძე, თოლორდავა, თევზაძე, კაპანაძე, მ.ბაშელეიშვილი, ჯანელიძე, შერგელაშვილი, მარაქველიძე (ჩუკვურა 66), რუხაძე (აშორტია 70), ჟუნიორი

საბურთალო: გოშაძე, ლაცაბიძე (მამაცაშვილი 77), ჯგერენაია, კაკუბავა, მალი, ძებნიაური (მანდრიჩენკო 65), შ.ნონიკაშვილი, ი.ტაბატაძე (ერისთავი 85), გოჩოლეიშვილი (კვერნაძე 77), ლ.ნონიკაშვილი, კოხრეიძე (გულიაშვილი 65)

მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა თელავმა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გაუნაღდებია ელიტაში დარჩენა, ამიტომაც ბოლო ტურებში სერიოზული ბრძოლები მოუწევს.

უფრო მაღალი ადგილების პრეტენზიის მქონე საბურთალოს კახელებმა მარტივად მოუგეს. უკვე მე-18 წუთზე თელავი მარაქველიძისა და ჟუნიორის გოლებით იგებდა. სტუმრებმა მხოლოდ მსაჯის მიერ კომპენსირებული დროის მე-6 წუთზე მოახერხეს ანგარიშის სხვაობის შემცირება.

შუქახა-ტოხპედო 0:1
ქუთაისი. ჩელე არენა

0:1 მამასახლისი (71პ)

შუქურა: შეროზია, ვარშანიძე (აფხაზავა 86), ჭანტურია, მუსელიანი (კვარაცხელია 84), ხმალაძე (ბ.ვერულიძე 76), ინგოროყვა, კომახიძე, გ.გაფრინდაშვილი, კაკაშვილი, სპიჩკა, ჯერალდო

ტორპედო: შოვნაძე, ვ.ტაბატაძე, მირცხულავა, ნადარაია (პარაგულგოვი 84), მამასახლისი, ზიდანი (თ.ახვლედიანი 63), ბუკასი (წოწონავა 63), მახარობლიძე (ჩალაძე 73), რეკიში (მჭედლიძე 73), მუდიმუ, კარაგუნისი

ეს გუნდებიც ელიტაში დასარჩენად იბრძვიან. ქობულეთის შუქურას გადათამაშება რომ არ ასცდება, უკვე ნათელია, ხოლო ტორპედოს ჯერ კიდევ აქვს შანსი, ზედმეტი დავიდარაბა თავიდან აიცილოს.

ქობულეთში დაძაბული მატჩი გაიმართა, რომელიც სტუმრებმა მამასახლისის გატანილი პენალტით მოიგეს.

სამტრედია-სამგურალი 1:2
სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე

1:0 იოსელიანი (51), 1:1, 1:2 ბუხაიძე (75პ, 90)

სამტრედია: გ.ქურდაძე, მჭედლიშვილი, ცეცხლაძე, ასათიანი, კვირკვია, მესიაჩენკო (ლომთაძე 45), არაბიძე (იოსელიანი 26), ახალაძე, პრელჩეკი, პავიშიჩი, გადრანი

სამგურალი: ქვილითაია, ბანძელაძე, პატარკაციშვილი, გილმორი (ჩიხლაძე 64), კუხიანიძე, ფონიავა (ბუხაიძე 64), ი.ახვლედიანი (დ.კირკიტაძე 69), კალანდარიშვილი, ა.ვერულიძე (დოლიძე 64), ლ.ქურდაძე, ბურჯანაძე

სამტრედიაში ეროსი მანჯგალაძის სახელობის სტადიონზე შეკრებილმა გულშემატკივარმა 3 გოლი იხილა. მატჩში ანგარიში მასპინძლებმა 51-ე წუთზე გახსნეს – თავი შეცვლაზე შესულმა გივი იოსელიანმა გამოიჩინა. ამ გოლმა სამტრედიელებს იმედი გაუღვიძა, მაგრამ მატჩის ბოლომდე სასურველი შედეგი ვერ მიიტანეს.

წყალტუბოელებმა მასპინძელთა კარში 2 გოლი ბოლო 15 წუთში გაიტანეს. 75-ე წუთზე საკუთარ საჯარიმოში ბურთი ხელზე თამაზ ცეცხლაძეს მოხვდა, ასევე შეცვლაზე შესულმა გიორგი ბუხაიძემ 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა, ხოლო ბოლო წუთზე მანვე სამგურალს მოაგებინა.

საუნინიო ცხრილი:

1.დინამო (ბთ)	33	19	11	3	66-25	68
2.დინამო (თბ)	33	19	6	8	54-26	63
3.დილა	33	17	8	8	45-30	59
4.ლოკომოტივი	33	15	6	12	54-55	51
5.საბურთალო	33	13	11	9	45-38	50
6.სამგურალი	33	9	13	11	33-39	40
7.თელავი	33	10	8	15	30-49	38
8.ტორპედო	33	7	12	14	29-41	33
9.შუქურა	33	5	12	16	26-43	27
10.სამტრედია	33	5	5	23	31-67	20

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შედეგები

7 ნოემბერი

ფეხბურთი

ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-უოტფორდი 1:0
ლიდსი-ლესტერი 1:1
ევერტონი-ტოტენჰემი 0:0
ვესტ ჰემი-ლივერპული 3:2

სატურნირო ცხრილი:

1.ჩელსი	11	8	2	1	27-4	26
2.სიტი	11	7	2	2	22-6	23
3.ვესტ ჰემი	11	7	2	2	23-13	23
4.ლივერპული	11	6	4	1	31-11	22
5.არსენალი	11	6	2	3	13-13	20
6.მანჩესტერი	11	5	2	4	19-17	17
7.ბრაიტონი	11	4	5	2	12-12	17
8.ვულვზი	11	5	1	5	11-12	16
9.ტოტენჰემი	11	5	1	5	9-16	16
10.კრ.პალასი	11	3	6	2	15-14	15
11.ევერტონი	11	4	3	4	16-16	15
12.ლესტერი	11	4	3	4	16-18	15
13.საუთჰემპტონი	11	3	5	3	10-12	14
14.ბრენტფორდი	11	3	3	5	13-14	12
15.ლიდსი	11	2	5	4	11-18	11
16.ასტონ ვილა	11	3	1	7	14-20	10
17.უოტფორდი	11	3	1	7	12-19	10
18.ბარნლი	11	1	5	5	11-17	8
19.ნიუკასლი	11	0	5	6	12-24	5
20.ნორვიჩი	11	1	2	8	5-26	5

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰერტა-ლევერკუზენი 1:1
კიოლნი-უნიონი 2:2
ფიურტა-აინტრახტი 1:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	11	9	1	1	40-11	28
2.დორტმუნდი	11	8	0	3	28-17	24
3.ფრაიბურგი	11	6	4	1	18-9	22
4.ვოლფსბურგი	11	6	1	4	12-12	19
5.ლაიფციგი	11	5	3	3	23-11	18
6.ლევერკუზენი	11	5	3	3	24-17	18
7.მაინცი	11	5	2	4	15-11	17
8.უნიონი	11	4	5	2	17-17	17
9.გლადბახი	11	4	3	4	13-14	15
10.ჰოფენჰაიმი	11	4	2	5	19-17	14
11.კიოლნი	11	3	5	3	17-20	14
12.ბოხუმი	11	4	1	6	10-18	13
13.ჰერტა	11	4	1	6	12-24	13
14.აინტრახტი	11	2	6	3	12-16	12
15.შტუტგარტი	11	2	4	5	15-20	10
16.აუგსბურგი	11	2	3	6	9-20	9
17.არმინია	11	1	5	5	7-16	8
18.ფიურტი	11	0	1	10	8-29	1

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

შალკე-დარმშტადი 2:4
აუე-ჰაიდენჰაიმი 2:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვილიარეალი-ხეტაფე 1:0
ვალენსია-ატლეტიკო 3:3
მალიორკა-ელჩე 2:2
ოსასუნა-სოსიედადი 0:2
ბეტისი-სევილია 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.სოსიედადი	13	8	4	1	19-10	28
2.რეალი	12	8	3	1	28-13	27
3.სევილია	12	8	3	1	21-7	27
4.ატლეტიკო	12	6	5	1	21-13	23
5.ბეტისი	13	6	3	4	19-17	21
6.რაიო	13	6	2	5	19-14	20
7.ოსასუნა	13	5	4	4	14-17	19
8.ბილბაო	12	4	6	2	11-8	18
9.ბარსელონა	12	4	5	3	19-15	17
10.ვალენსია	13	4	5	4	21-20	17
11.ესპანიოლი	13	4	5	4	14-13	17
12.ვილიარეალი	12	3	6	3	14-12	15
13.მალიორკა	13	3	6	4	13-19	15
14.ალავესი	12	4	1	7	8-15	13
15.სელტა	13	3	3	7	13-17	12
16.კადისი	13	2	6	5	12-19	12
17.გრანადა	12	2	5	5	11-16	11
18.ელჩე	13	2	5	6	11-17	11
19.ხეტაფე	13	1	3	9	6-19	6
20.ლევანტე	13	0	6	7	12-25	6

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ალკორკონი-ამორებიეტა 2:2
სარაგოსა-ხიხონი 2:0
ალმერია-ბურგოსი 2:0
კარტახენა-მალაგა 3:1
სოსიედადი ბ-იბიცა 0:1

იტალია. სერია ა

ვენეცია-რომა 3:2
სამპდორია-ბოლონია 1:2
უდინეზე-სასუოლო 3:2
ლაციო-სალერნიტანა 3:0
ნაპოლი-ვერონა 1:1
მილანი-ინტერი 1:1

სატურნირო ცხრილი:

1.ნაპოლი	12	10	2	0	24-4	32
2.მილანი	12	10	2	0	26-11	32
3.ინტერი	12	7	4	1	29-13	25
4.ატალანტა	12	6	4	2	22-15	22
5.ლაციო	12	6	3	3	25-19	21
6.რომა	12	6	1	5	21-15	19
7.იუვენტუსი	12	5	3	4	16-15	18
8.ფიორენტინა	12	6	0	6	16-14	18
9.ბოლონია	12	5	3	4	19-23	18
10.ვერონა	12	4	4	4	25-21	16
11.ემპოლი	12	5	1	6	18-23	16
12.ტორინო	12	4	2	6	15-12	14
13.სასუოლო	12	4	2	6	17-18	14
14.უდინეზე	12	3	5	4	15-18	14
15.ვენეცია	12	3	3	6	11-19	12
16.სპეცია	12	3	2	7	13-26	11
17.ჯენოა	12	1	6	5	17-24	9
18.სამპდორია	12	2	3	7	15-25	9
19.სალერნიტანა	12	2	1	9	10-26	7
20.კალიარი	12	1	3	8	13-26	6

იტალია. სერია ბ

ლეჩე-პარმა 4:0
კროტონე-მონცა 1:1
ჩიტადელა-პიზა 2:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-მეცი 0:0
ლორიანი-ბრესტი 1:2
ნანტი-სტრასბური 2:2
რეიმსი-მონაკო 0:0
სტ.ეტიენი-კლერმონი 3:2
ნიცა-მონპელიე 0:1
რენი-ლიონი 4:1

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	13	11	1	1	29-13	34
2.ლანსი	13	7	3	3	25-14	24
3.ნიცა	13	7	3	3	23-10	23
4.მარსელი	13	6	5	2	20-12	23
5.რენი	13	6	4	3	22-12	22
6.მონპელიე	13	5	4	4	21-19	19
7.ლიონი	13	5	4	4	21-21	19
8.სტრასბური	13	5	3	5	24-18	18
9.ანჟე	13	4	6	3	19-16	18
10.ნანტი	13	5	3	5	18-16	18
11.მონაკო	13	5	3	5	17-16	18
12.ლილი	13	4	4	5	16-19	16
13.ლორიანი	13	3	6	4	13-20	15
14.ტრუა	13	3	4	6	13-21	13
15.კლერმონი	13	3	4	6	16-26	13
16.რეიმსი	13	2	6	5	14-17	12
17.ბრესტი	13	2	6	5	16-21	12
18.ბორდო	13	2	6	5	18-27	12
19.სტ.ეტიენი	13	1	6	6	15-28	9
20.მეცი	13	1	5	7	13-27	8

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

გრონინგენი-ვალვაიკი 1:1
სიტარდი-პსვ 1:4
ვიტესი-უტრეხტი 2:1
ფეინოორდი-ალმაარი 1:0
აიაქსი-იგლზი 0:0

პორტუგალია. პრიმეირა ლიგა

ტონდელა-მარიტიმუ 4:2
სანტა კლარა-პორტუ 0:3
ფერეირა-სპორტინგი 0:2

ხუსეთი. პრემიერლიგა

ურალი-ზენიტი 0:0
როსტოვი-რუბინი 5:1
ახმატი-ნ.ნოვგოროდი 3:1
სპარტაკი-ლოკომოტივი 1:1

ბელგია. ა დივიზიონი

ბრიუგე-სტანდარდი 2:2
სერენი-გენტი 0:0
ანტვერპენი-ანდერლეხტი 2:0
გენკი-სერკლი 1:1

ავსტრია. ბუნდესლიგა

ლინცერი-ტიროლი 3:0
ვოლფსბერგერი-რაპიდი 4:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

დანდი-სელტიკი 2:4
რეინჯერსი-როსი 4:2

თურქეთი. სუპერლიგა

გიოზთეფე-ქონია 0:2
ადანა-ჰატაი 1:0
ქარაგუმრუქი-გალათასარაი 1:1
ფენერბახჩე-ქაისერი 2:2

საბერძნეთი. სუპერლიგა

ასტერასი-ლამია 0:1
ვოლოსი-არისი 1:2
ოლიმპიაკოსი-იონიკოსი 1:0
პანათინაიკოსი-აეკი 1:3

შვეიცარია. სუპერლიგა

სერვეტი-ციურიხი 1:2
ბაზელი-სტ.გალენი 0:1
ლოზანა-ლუგანო 0:2

ჩეხეთი. 1 ლიგა

ზლინი-იაბლონეცი 0:0
კარვინა-სლოვაცკო 2:2
პარდუბიცე-სლავია 0:5
სპარტა-ტეპლიცე 4:2

პოლონეთი. ექსტრაჰენასა

ჩენსტოხოვა-პოგონი 0:0
ლეგია-სტალი 1:3
ვისლა-კრაკოვია 1:0

უნგრეთი. 1 დივიზიონი

კიშვარდა-ფერენცვაროში 0:4
ფეჰერვარი-ზალაეგერსეგი 3:0

უკრაინა. პრემიერლიგა

ინგულეცი-დნიპრო 0:1
ზორია-ვერესი 3:0
კოლოსი-შახტარი 1:3
ლვოვი-დესნა 0:2

დანია. სუპერლიგა

ვეილე-სონდერიისკე 3:1
ოლბორგი-რანდერსი 1:1
ორხუსი-მიდტიულანდი 3:0
ბრონდბიუ-ოდენსე 2:1
სილკებორგი-კოპენჰაგენი 0:0

შვედეთი. ალსვენსკა

აიკი-ესტერსტუნდი 3:0
ჰამარბი-იორებრო 3:2
ჰაკენი-დეგერფორსი 2:0
გიოტებორგი-მალმიო 0:2
კალმარი-ნორჩიოპინგი 1:0

ნორვეგია. ელიტსერია

მიოლდე-სანდერფიორდი 3:1
მიონდალენი-ვიკინგი 0:1
ოდ გრელანდი-კრისტიანსუნდი ... 2:4
ტრომსო-სტრომგოდსეტი 1:1
ჰაუგესუნდი-ბოლო გლიმტი 2:2
ლილესტრიომი-ვალერენგა 0:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები



თამაზ ჭყონია

მოულოდნელად გარდაიცვალა ღირსეული მამულიშვილი, ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე, საქართველოს რადიოს ყოფილი დიქტორი, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ყოფილი თანამშრომელი, მრავალი ახალგაზრდის ერთგული აღმზრდელ-დამრიგებელი – თამაზ ალექსანდრეს ძე ჭყონია.

თ.ა.ჭყონია მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში დაიბადა. ბავშვობიდანვე ოცნებობდა, ისტორიკოსი გამხდარიყო და ეს ნატვრა 1969 წელს წარმატებით აღისრულა – ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებული სტუდენტი გახდა.

სწავლის დასრულების შემდეგ მან მუშაობა დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად.

თამაზ ჭყონიას ბუნებამ ბავშვობიდან დაანათლა საოცარი არტისტიზმი, ხმის უნიკალური ტემბრი, ქართული ლიტერატურის მიმართ განსაკუთრებული მიდრეკილება. მისი ეს თვისებები განსაკუთრებით საცნაური გახდა მას შემდეგ, რაც მან 1976 წელს გაიმარჯვა საქართველოს ტელერადიოკომიტეტის მიერ გამოცხადებულ დიქტორთა კონკურსში და საქართველოს რადიოს დიქტორი გახდა. მისი პირველი დამრიგებლები და მეგობრები იყვნენ ლეგენდარული ქართველი დიქტორები: ქეთო ლანდია, ციალა შუბლაძე, დავით სოკოლოვი. მისი ხავერდისებური ტემბრი, გამორჩეული დიქცია, ქართული სამეტყველო ენის ურთულესი პასაჟების უნაკლო ცოდნა განსაკუთრებულ მომხიბვლელობას ანიჭებდა მის მიერ წაკითხულ გალაკტიონის, აკაკისა თუ ილიას თხზულებებს, ლექსებსა თუ მოთხრობებს.

თამაზ ჭყონია ბუნებით პოეტი იყო – მას სიტყვაც უჭრიდა. მისი ლექსები, გამთბარი ფაქიზი სიყვარულის გრძნობით, მეგობრული ერთგულებით, ულევი პატრიოტიზმითა და კაცთმოყვარეობით მუდამ იმსახურებდა მსმენელის აღფრთოვანებას, გაოცებას, მოწონებას.

განსაკუთრებული იყო თ. ჭყონიას პედაგოგიური ნიჭი – მას ბავშვებთან მისასვლელი საკუთარი გზა ჰქონდა – ამიტომაც ძლიერ უყვარდათ და ბეჯითად სწავლობდნენ მის გაკეკვეთლებს.

ბევრი გეგმა ჰქონდა და ბევრსაც ცდილობდა, რომ ცხოვრების მისეული პრინციპები: ღვთისმოშიშობა, პატიოსნება, ერთგულება, პატრიოტიზმი, კაცთმოყვარეობა, მამულიშვილობა და ქართველობა დაემკვიდრებინა თავის წრეში, გარემოცვაში, საახლობლოში.

მისი მოულოდნელი გარდაცვალება უდიდესი დანაკარგია მისი მეგობრებისათვის, ნათესავებისათვის, ახლობლებისათვის. ძნელია, შეეგუო აზრს, რომ აღარ არის ასეთი ენერგიული, მიზანსწრაფული და თავის სამშობლოზე ღრმად შეყვარებული პიროვნება. მაგრამ დარჩა მისი პოეტური შემოქმედება, მისი ლექსები, კრებულები, სადაც ის ბოლომდე დაიხარჯა. დარჩა მოგონება ღირსეულ, თავისუფლებისმოყვარე და ჭეშმარიტ პატრიოტზე, რომელმაც მთელი ცხოვრება სხვისთვის იცხოვრა და ამიტომაც დატოვა როგორც უზარმაზარი ტკივილი, ასევე ის გამორჩეულად ულევი მადლი, რომელიც მის სახელსა და მის მიერ გაკეთებულ საქმეებს დავიწყების საშუალებას არასოდეს მისცემს.

თანაკურსელები

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 2. მოქმედი ვულკანი ანტარქტიდაში; 3. სპორტის სათამაშო ოლიმპიური სახეობა; 4. რაიმე საქმეში, პროექტში კაპიტალის დამბანდებელი პირი; 5 საჯარისო შენაერთი; 6. ღომში ჩაზელილი სულგუნით მომზადებული მეგრული კერძი; 8. სისხლის თეთრი ბურთულების წარმომქმნელი შინაგანი ორგანო; 11. რაიმე ცნების, იდეის პირობითი ნიშანი; 14. კარსტულ მღვიმეში ძირიდან აღმართული კონუსისებრი სვეტი; 15. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 16. ვარდების ბაღი; 17. სახალხო თავყრილობა ძველ რომში; 19. ლირიკული სიმღერა; 21. კავკასიის ალპურ ზონაში ბინადარი გარეული თხა; 22. ფშავ-ხევსურეთის ძველებური სახელწოდება.

თარაზულად: 1. ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი ინგლისში; 5. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 7. შენობა მუსიკალური წარმოდგენებისთვის ძველ საბერძნეთში; 9. ქართველი ფიზიოლოგი, აკადემიკოსი; 10. ნიდერლანდური ღუდი; 12. ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 13. ჟანგბადის ნაკლებობა ორგანიზმში; 16. ძვირფასი სამახსოვრო ნივთი; 17. ჩრდილო და ბალტიის ზღვების დამაკავშირებელი ხელოვნური არხი გერმანიაში; 18. არყის სასმელი პატარა ჭიქა; 20. რაიმე სიდიდეების გრაფიკულად გამოსახული შეფარდება; 22. იტალიური ავტომობილი; 23. უელსის ადმინისტრაციული ცენტრი; 24. ქართული რადიო; 25. დენის ძაბვის საზომი ერთეული.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. აბუჯაძე; 2. ვენდეტა; 3. ანიონი; 4. ეპოქა; 5. ფარავანი; 7. აია; 11. ნევადა; 15. კარტელი; 16. ჟაკარი; 17. პაპყი; 18. მორზე; 20. მურეი; 22. ფეტა.

თარაზულად: 6. ბონსაი; 8. დეგნანი; 9. ლიოტარი; 10. ლოცმანი; 12. რანჩო; 13. ალუვი; 14. ტრავიატა; 19. ჰარლემი; 21. ხალიფა; 23. ოპეკი; 24. ჭყურტი; 25. ფლიგელი; 26. ვერდიქტი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 2. ფუტზალი; 3. გენერალი; 4. აგრონომია; 5. კლიპი; 6. იყალთო; 8. პიროგა; 11. დებიუტი; 14. ალადასტური; 15. როლგანგი; 16. პოლინეზია; 17. სამაია; 19. ლოზუნგი; 21. ყანნი; 22. იპონი.

თარაზულად: 1. იფიგენია; 5. კოლი; 7. გოპაკი; 9. სტენოკარდია; 10. ანდერძი; 12. ათაბაგი; 13. ჯამბაზი; 16. პატრიოტი; 17. სუვა; 18. პლაზა; 20. პლასტიკა; 22. იანძი; 23. პუბლიკა; 24. ზუროსი; 25. წყარო.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

9 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ
დოლარი
— 3.1637

ევრო
— 3.6490

დიდი ბრიტანეთის
გირვანქა სტერლინგი
— 4.2488

100 რუსული
რუბლი
— 4.1178

ამინდის პროგნოზი 9 ნოემბრისათვის

2018311219681

ხავი ერნანდესი: „ბარსელონაში გამარჯვებისთვის მოვედი“

„ბარსელონის“ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ხავი ერნანდესმა პირველი კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მას „ბარსელონაში“ დიდი გეგმები აქვს, თუმცა კარგად ესმის, რომ წინ უამრავი სირთულეა. ხავის აზრით, „ბარსელონას“ შეუძლია, ისევ წარმატებულ გზაზე დადგეს:

– „ბარსელონა“ ნიშნავს გამარჯვებას და ყველამ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ გულშემატკივარი გავახაროთ. „ბარსელონაში“ დაბრუნებით ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, აქ დიდხანს დავრჩე. ფეხბურთელებს უკვე გავესაუბრე და უახლოეს დღეებში მათთან უფრო ახლო კომუნიკაციას დავამყარებ.

ტრენტ ალექსანდრ არნოლდი: „ვესტ ჰემმა გვაჯობა“

ლივერპულის მცველმა ტრენტ ალექსანდრ არნოლდმა ვესტ ჰემთან მატჩის შემდეგ მედიასთან კომენტარი გააკეთა და თქვა, რომ მისმა გუნდმა ცუდად ითამაშა და დამსახურებულად წააგო:

– სამწუხაროდ, არაფერი გამოგვივიდა და ამაში ყველანი დამნაშავეები ვართ. მეორე ტაიმში ვესტ ჰემმა საგრძნობლად გვაჯობა და მათ გამარჯვება დაიმსახურეს. მომავალში შეცდომები არ უნდა გავიმეოროთ.

ზიდანს მანჩესტერ იუნაიტედის გაწვრთნა არ სურს

მანჩესტერ იუნაიტედი ახალ მთავარ მწვრთნელს აქტიურად ეძებს და ერთ-ერთი კანდიდატურა ზინედინ ზიდანია. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოლე გუნარ სოლსკიაერს დაკავებული თანამდებობიდან მალე გაათავისუფლებენ, თუმცა ზიდანი მანჩესტერში მისვლას არ აპირებს. ზიდანი ამჟამად უმუშევარია და მომავალში მას საფრანგეთის ნაკრების გაწვრთნა სურს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ცოლის მკვლელობისთვის მრავალი წლით ციხეში გამოკეტილი მამაკაცი უდანაშაულო გამოდგა

აშშ-ში უდანაშაულოდ ცნეს 83 წლის მამაკაცი, რომელმაც ციხეში 45 წელი სხვის მიერ ჩადენილი მკვლელობისთვის გატარა. ისაია ენდრიუსი 1974 წელს მომხდარი საკუთარი მეუღლის მკვლელობისთვის იქნა გასამართლებული. ქალის ცხედარი, რომელსაც სხეულზე დანით 11 ჭრილობა ჰქონდა მიყენებული, ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდის სასტუმროში იქნა აღმოჩენილი. მამაკაცი თავიდანვე უარყოფდა დანაშაულს, თუმცა მას სამუდამო პატიმრობა მაინც მიესაჯა. საქმის განმეორებითი განხილვა 2020 წელს დაიწყო. ენდრიუსი გირაოს სანაცვლოდ მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც აღმოჩნდა, რომ პროკურორებმა, რომლებიც 40 წელზე მეტი ხნის წინ მისი საქმით იყვნენ დაკავებული, ნაფიც მსაჯულებს არ აცნობეს, რომ საქმეში სხვა ეჭვმიტანილიც იყო, რომლის დაკითხვა 1975 წელს შედგა. ითვლებოდა, რომ 2011 წელს გარდაცვლილ მეორე ეჭვმიტანილს ალიბი ჰქონდა, ამიტომ მისი დაკითხვის მონაცემები არასოდეს შემოწმებულა და პროცესზე არ გამოყენებულა, თუმცა ახალმა შემოწმებამ გამოძიების მონაცემებში შეცდომა გამოავლინა – ქალის გარდაცვალების დრო საბუთებში არასწორად იყო მითითებული.

– მათ მკვლელი იმის გამო გაუშვეს, რომ სიკვდილის დრო აერიათ, – განაცხადა ენდრიუს ადვოკატმა.

ქალის მკვლელობაზე საქმის ახალი მოსმენა მიმდინარე წლის 19 ოქტომბერს გაიმართა. სასამართლომ ვერანაირ მტკიცებულებებსა და ფაქტებს ვერ მიაგნო, რომლებიც ენდრიუსს დანაშაულთან დააკავშირებდა და რომლის გამოც სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი. ნაფიცმა მსაჯულებმა მამაკაცი უდანაშაულოდ ცნეს. სასამართლო გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ ისაია ენდრიუსმა, რომელიც კიბოთია დაავადებული და მხოლოდ ინვალიდის ეტლით ახერხებს გადაადგილებას, განაცხადა, რომ შვება იგრძნო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

9 ნოემბრისათვის

ვერძი – საქმე ისეთი ტემპით არ მიდის, როგორც გსურთ. თუმცა მოვლენების დაჩქარება არ ღირს. **კურო** – პირადი ცხოვრებისა და სამსახურებრივი საქმეების შეთავსება ოდნავ გიჭირთ, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** – შექმნილ რთულ სიტუაციაში მალევე გაერკვევით. მთავარია, სწორი დასკვნები გააკეთოთ. **კირჩხიბი** – ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებს სერიოზული სირთულეების გადალახვა მოგიწევთ. მთავარია, ემოციებს არ აჰყვეთ და ნაჩქარევი გადაწყვეტილება არ მიიღოთ. **ლომი** – თუ მხოლოდ კარიერაზე იფიქრებთ, ცხოვრების ხალისს დაკარგავთ. გათავისუფლდით ნეგატიური აზრებისაგან. **ქალწული** – შექმნილი ვითარება გაიძულებთ, საკმაოდ არასასიამოვნო ადამიანებთან იქონიოთ კონტაქტი. გამოიჩინეთ მეტი დიპლომატიურობა. **სასწორი** – სამომავლო გეგმებზე ფიქრში დროს ნუ დაკარგავთ. მიჰყევით თვითდინებას. **ღრიანკალი** – ლიდერის თვისებები დაგეხმარებათ, ბევრი ისეთი პრობლემა მოაგვაროთ, რომლებიც კარიერულ წინსვლაში ხელს გიშლით. საკუთარ პრინციპებს უერთგულეთ. **მშვილდოსანი** – ენერგიულად და ენთუზიაზმით სავსე ხართ. მეტი ხელმომჭირნეობა გმართებთ. **თხის რქა** – ნუ იქნებით სწორხაზოვანი. შექმნილი სიტუაცია გულმოდგინედ გააანალიზეთ და ისე იმოქმედეთ. **მერწყული** – ახლო მეგობრის რჩევა დაგეხმარებათ სწორი დასკვნების გაკეთებაში. ინტუიციას ნუ დაეყრდნობით. **თევზები** – საკუთარი თავის რწმენა გიბრუნდებათ, თუმცა მეტისმეტი სითამამე, სავარაუდოდ, საქმეს გაგიფუჭებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

სამსახურის დაწყების მსურველი ფირმის დირექტორს ეკითხება:

– თქვენთან ბუღალტრად მინდა მუშაობის დაწყება და როგორი სამუშაო გრაფიკი გაქვთ?

– ერთი წელი გულმოდგინედ შრომობთ, აკეთებთ ყველაფერს, რასაც დაგავალებთ და შემდეგ სამი წელი ზიხართ და ისვენებთ.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რას იტყოდი, რომ გაგეგო, შენს საუკეთესო მეგობართან ვიწექი?

– რას ვიტყოდი და ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ლესბოსელი იყავი.

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეუბნება:

– ახალგაზრდობაში უამრავი ქალი მყავდა... ხელთათმანებივით ვიცვლიდი, სანამ ჩემ ცოლს არ შევხვდი!

– ასე ძალიან შეგიყვარდა?

– არა, უბრალოდ, ცოლი სახლში დროზე ადრე დაბრუნდა.

●●●

მამაკაცი ტელეფონის ყურმილში ჩაჰყვირის:

– სახანძროა? დამეხმარეთ! ჩემი სახლი იწვის! ჩქარა მოდით!

– როგორ უნდა მოვიდეთ თქვენამდე?

– თქვენ რა, სულ გააფრინეთ? დიდი წითელი მანქანით!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დავით არჩვაძემ ზაურ ბოლქვაძეს სიმღერა მიუძღვნა

მომღერალმა და კომპოზიტორმა დავით არჩვაძემ ანსამბლ „ქართული ხმების“ ლეგენდარულ პირველ ხმას ზაურ ბოლქვაძეს სიმღერა მიუძღვნა.

„ქართული საგალობელი“ – ასეთია სიმღერის სახელწოდება, რომელსაც ნიკოლოზ ხარატი ასრულებს.

დავით არჩვაძე:

– ესეც დაპირებული პრემიერა. ნიკოლოზ, ღმერთმა სულ ასე ბედნიერად გამღეროთ შენ და შენი თაობა ქართული სიმღერის სიყვარულით.

ლევან კოღუაშვილი კოტბუსის კინოფესტივალზე დაჯილდოვეს

ქართველი რეჟისორი ლევან კოღუაშვილი კოტბუსის საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვეს. მისმა ერთ-ერთმა ბოლო ფილმმა „მეოთხე ბრაიტონმა“ სამი ჯილდო მოიპოვა:

– საუკეთესო მსახიობი მამაკაცი – ლევან თედიაშვილი, ფიპრესის ჯილდო და ეკუმენიური ჟიურის პრიზი.

ლევან კოღუაშვილის „მეოთხე ბრაიტონი“ ქართველ ემიგრანტებზეა და ის უკვე არაერთი საერთაშორისო კინოფესტივალის გამარჯვებულია.

ნათია წიწილაშვილი დედა მეორედ გახდება

მსახიობი ნათია წიწილაშვილი დედა მეორედ გახდება.

ამის შესახებ ინფორმაცია ნათიამ სოციალურ ქსელში თავად გაავრცელა. მან ორსულობის ამსახველი ფოტოები გამოაქვეყნა წარწერით: „ბავშვის მოლოდინში“.

ნათია წიწილაშვილს პირველი ქორწინებიდან, ასევე მსახიობ გიორგი კალანდაძისგან გოგონა ჰყავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

54 წლის მარტოხელა დედამ ქონება ეროტიკული ფოტოსურათებით დააგროვა

აშშ-ში მცხოვრები ქალი ონლაინპლატფორმის ვარსკვლავი გახდა და ქონების დაგროვება 54 წლის ასაკში მოახერხა.

ელაინ სენტ-ჯეიმსი დედა 42 წლის ასაკში გახდა. მან ბავშვი ხელოვნური განაყოფიერების გზით გააჩინა. ქალმა განმარტა, რომ სრულიად შეგნებულად გადაწყვიტა, მარტოხელა დედა გამხდარიყო და საკუთარ არჩევანს საერთოდ არ ნანობს. სანამ ბავშვი პატარა იყო, მან სახლში მოაწყო საბავშვო ბაღი და ფულს სხვა ბავშვების მომვლელად მუშაობის დახმარებით გამოიმუშავებდა.

მას შემდეგ, რაც მისი შვილი სკოლაში წავიდა, სენტ-ჯეიმსი მაღაზიაში გამყიდველად მოეწყო და წელიწადში დაახლოებით 30 ათას დოლარს იღებდა. ეს თანხა მას ოჯახის სრულფასოვნად უზრუნველსაყოფად არ ჰყოფნიდა. მაშინ ქალი დამატებითი შემოსავლის მიღებაზე დაფიქრდა. მან ორი დედის ისტორია წაიკითხა, რომლებიც ინტერნეტში საკუთარ ეროტიკულ ფოტოსურათებს ყიდდნენ.

– ეს ქალები „იდეალურად“ არ გამოიყურებოდნენ და არც ახალგაზრდები იყვნენ. მაშინ გავიფიქრე, რა იქნებოდა, მე რომ იმის მეათედი გამომემუშავებინა, რამდენსაც ისინი გამოიმუშავებდნენ. ეს მთელ ჩემს ცხოვრებას შეცვლიდა, – განაცხადა ქალმა.

მიმდინარე წლის აპრილში ქალმა ინსტაგრამში სპეციალური გვერდი შექმნა. თავდაპირველად სენტ-ჯეიმსი საცვლებში გამოწყობილ საკუთარ ფოტოსურათებს აქვეყნებდა. შემდეგ მან ორ თაყვანისმცემელს საკუთარი პროფილი გაუხსნა და მათ ურჩიეს, თავიანთი ფოტოსურათები სრულად გამოექვეყნებინათ. მალე სენტ-ჯეიმსმა საკუთარი ნახევრადშიშველი ფოტოსურათების გამოქვეყნება დაიწყო, შემდეგ კი – სრულიად შიშვლის. მისი თქმით, თვის ბოლოსთვის მისი ხელმომწერების რაოდენობა 10 ათასამდე გაიზარდა და მან მოახერხა, იმდენივე შემოსავალი მიეღო, რამდენსაც მაღაზიაში გამყიდველად მუშაობით იღებდა. მისი თქმით, ამ დროისთვის მას 1,5 ათასი მუდმივად გადამხდელი თაყვანისმცემელი ჰყავს, რომელთა შორის ბევრი 30 წლამდე ასაკის მამაკაცია.

მოამზადა
კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოიდი ↓



შვეულად: 1. გამოჩენილი ორატორის სახელწოდება ძველ რომში; 2. მონარქიული სახელმწიფოს დროებითი მმართველი მეფის მცირეწლოვნობის გამო; 3. რაიმეს არასრულფასოვანი შემცვლელი, სუროგატი; 4. გერმანელი მწერალი; 5. ჩინური ფაიფური; 7. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 11. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 15. ტრამვაის მძღოლი; 16. ალუბლის ერთ-ერთი ჯიში, იაპონიის სიმბოლო; 17. ხელოვნების მუზეუმი მილანში; 18. ბერძნული ანბანის ბოლო ასო; 20. კოვბოების შეჯიბრება; 22. ქართული სპორტული რადიო.

თარაზულად: 6. საფრანგეთში წარმოშობილი არქიტექტურულ-დეკორატიული სტილი; 8. სოფლის შარაგზა; 9. ძვირფასი ქვების საერთო სახელწოდება ძველად; 10. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 12. წნული ქოთი სამეგრელოში; 13. საბერძნეთის მეორე სახელწოდება; 14. მხარეთა თანასწორობის პრინციპი კონფლიქტის გარჩევისას; 19. დედამიწის ატმოსფეროში მოძრავი გავარვარებული კოსმოსური სხეული; 21. ოქროს მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 23. კომპანია „ტესლას“ დამფუძნებელი; 24. ფულის ერთეული შვეიცარიაში; 25. სამარკო და საკოლექციო ღვინოების საცავი; 26. ტვირთის მცირე ხნით შესანახი სათავსო ნავსადგურში, საბაჟოზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა